პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ორშაბათი
1 მაისი
1944 წ.
№ 89 (7033)
ფასი 20 კაპ.

## გაუმარჯოს 1 მაისს—მშრომელთა საერთაშორისო ძალების დათვალიერების დღეს!

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## უმაღლესი მთავარსარდლისა

1944 წლის 1 მაისი № 70 ქ. მოსკოვი

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო! გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ დროებით მოქცეულო და გერმანიის ფაშისტურ კატორღაში ძალდატანებით გარეკილო ძმებო და დებო!

საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბოლშევიკური პარტიის სახელით მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღეს!

ჩვენი ქვეყნის ხალხები 1 მაისის დღეს ეგებებიან წითელი არმიის შესანიშნავ წარმატებათა ვითარებაში.

სტალინგრადთან გერმანელთა დივიზიების განადგურების დროიდან წითელი არმია თითქმის განუწყვეტელ შეტევას აწარმოებს. ამ ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ ბრძოლებით განვლო ვოლგიდან სერეტამდე, კავკასიონის მთისძირებიდან კარპატებამდე, ანადგურებდა რა ბილწ მტერს და აძევებდა მას საბჭოთა მიწა-წყლიდან.

1943-44 წლების ზამთრის კამპანიის მსვლელობაში წითელმა არმიამ მოიგო ისტორიული ბრძოლა დნეპრისა და მარჯვენა ნაპირის უკრაინისათვის, დაამსხვრია გერმანელთა მძლავრი თავდაცვითი სიმაგრენი ლენინგრადთან და ყირიმში, მარჯვე და სწრაფი მოქმედებით გადალახა გერმანელთა თავდაცვა იუჟნი ბუგის, დნესტრის, პრუტის, სერეტის წყლის ზღუდეებზე. თითქმის მთელი უკრაინა, მოლდავეთი, ყირიმი, ლენინგრადისა და კალინინის ოლქები, ბელორუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი გაწმენდილია გერმანელ დამპყრობთაგან. სამშობლოს დაუბრუნდა სამხრეთის მეტალურგია, კრივოროჟიეს, ქერჩისა და ნიკოპოლის მადანი, უხვმოსავლიანი მიწები დნეპრსა და პრუტს შუა. ფაშისტური მონობიდან განთავისუფლებულია ათეულ მილიონობით საბჭოთა ადამიანი.

ასრულებს რა ფაშისტ დამპყრობთაგან მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლების დიად საქმეს, წითელი არმია მიადგა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს რუმინეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან და ახლა განაგრძობს მტრის ჯარების განადგურებას რუმინეთის ტერიტორიაზე.

წითელი არმიის წარმატებანი შესაძლებელი გახდა საბჭოთა სარდლობის სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის მეოხებით, ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების მაღალი მორალური სულისკვეთებისა და შეტევითი აღფრთოვანების მეოხებით, პირველხარისხოვანი საბჭოთა სამხედრო ტექნიკით ჩვენი ჯარების კარგად აღჭურვის მეოხებით, ჩვენი არტილერისტების, ნაღმტყორცნელების, ტანკისტების, მფრინავების, მეკავშირეების, მესანგრეების, ქვეითების, კავალერისტების, მზვერავების გაზრდილი ოსტატობისა და გაწვრთნილობის მეოხებით.

ამ წარმატებებს მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი ჩვენმა დიდმა მოკავშირეებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა, რომლებსაც უკავიათ ფრონტი იტალიაში გერმანელთა წინააღმდეგ და გვაშორებენ ჩვენ გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვან ნაწილს, გვამარაგებენ მეტად ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულითა და საჭურვლით, სისტემატურად ბომბავენ გერმანიის სამხედრო ობიექტებს და, ამრიგად, ძირს უთხრიან უკანასკნელის სამხედრო ძლიერებას.

მაგრამ წითელი არმიის წარმატებანი შეიძლებოდა მტკიცე არ აღმოჩენილიყო და ისინი გაქარწყლებულიყო მოწინააღმდეგის პირველივე სერიოზული კონტრდარტყმით, რომ წითელ არმიას ზურგს არ უმაგრებდეს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა. წითელმა არმიამ სამშობლოსათვის ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გამოიჩინა. მაგრამ საბჭოთა ხალხიც პირნათლად იხდის ვალს წითელი არმიის წინაშე. ომის ძნელ პირობებში საბჭოთა ხალხმა გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწია საჭურვლის, ცეცხლითი მასალების, ჩაცმულობის, სურსათის მასობრივი წარმოებისა და ფრონტებზე წითელი არმიისათვის მათი დროულად მიწოდების საქმეში. განვლილი წლის მანძილზე სერიოზულად გაიზარდა საბჭოთა მრეწველობის ძლიერება. მწყობრში ჩადგნენ ასობით ახალი ქარხნები, შახტები, ათობით ელექტროსადგურები, რკინიგზის ხაზები, ხიდები. საბჭოთა ადამიანების ახალი მილიონები დადგნენ დაზგებთან, დაეუფლნენ ურთულეს პროფესიებს, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები. ღირსეულად გაუძლეს ომის განსაცდელს ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ომიანობის დროის ძნელ პირობებში საბჭოთა გლეხობა დაუღალავად მუშაობს მინდვრებზე, სურსათით ამარაგებს ჩვენს არმიასა და მოსახლეობას, ნედლეულს აწვდის ჩვენს მრეწველობას. ჩვენმა ინტელიგენციამ კი საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა, კულტურა და ხელოვნება გაამდიდრა ახალი შესანიშნავი მიღწევებითა და აღმოჩენებით. სამშობლოს დაცვის საქმეში ფასდაუდებელი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა ქალებს, რომლებიც თავდადებით მუშაობენ ფრონტის ინტერესებისათვის, მამაცურად იტანენ ომიანობის დროის ყველა სიძნელეს, საბრძოლო საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ წითელი არმიის მეომრებს — ჩვენი სამშობლოს განმათავისუფლებლებს.

სამამულო ომმა ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხალხს უნარი შესწევს სასწაულები მოახდინოს და გამარჯვებული გამოვიდეს ულრესად მძიმე განსაცდელიდან. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი აღსავსეა გადაწყვეტილებით — დააჩქაროს მტრის განადგურება, მთლიანად აღადგინოს ფაშისტების მიერ დანგრეული მეურნეობა, გახადოს ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო ძლიერი და შეძლებული.

წითელი არმიის დარტყმებით ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკი ირღვევა და ინგრევა. შიში და შეშფოთება სუფევს ახლა ჰიტლერის რუმინელ, უნგრელ, ფინელ და ბულგარელ „მოკავშირეთა" შორის. ახლა ჰიტლერის ეს ხელქვეითნი, რომელთა ქვეყნების ოკუპაცია გერმანელებმა მოახდინეს და კვლავაც ახდენენ, არ შეიძლება არ ხედავდნენ, რომ გერმანიამ ომი წააგო. რუმინეთს, უნგრეთს, ფინეთსა და ბულგარეთს კატასტროფის თავიდან აცილების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა აქვთ: კავშირი გასწყვიტონ გერმანელებთან და გამოვიდნენ ომიდან. მაგრამ ძნელია იმის ვარაუდი, რომ ამ ქვეყნების ახლანდელ მთავრობებს უნარი შესწევთ გასწყვიტონ კავშირი გერმანელებთან. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნების ხალხებს მოუხდებათ თვითონ აიღონ თავიანთ ხელში გერმანელთა უღლისაგან თავიანთი განთავისუფლების საქმე. და რაც უფრო მალე შეიგნებენ ამ ქვეყნების ხალხები, თუ რა ჩიხში მოამწყვდიეს ისინი ჰიტლერელებმა, რაც უფრო მალე შესწყვეტენ ისინი თავიანთი გერმანელი დამმონებლებისათვის და თავიანთ საკუთარ ქვეყანაში მათი ხელქვეითებისათვის — კვისლინგებისათვის ყოველგვარ მხარდაჭერას, მით უფრო ნაკლებ მსხვერპლსა და ნგრევას განიცდიან ეს ქვეყნები ომისაგან, მით უფრო მეტად შეუძლიათ მათ იქონიონ დემოკრატიული ქვეყნების მხრივ გაგების იმედი.

წარმატებითი შეტევის შედეგად წითელი არმია მიადგა ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს 400-ზე მეტ კილომეტრ მანძილზე და გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან გაათავისუფლა ოკუპირებული საბჭოთა მიწა-წყლის $3/4$-ზე მეტი. საქმე ახლა ის არის, რომ ფაშისტ დამპყრობთაგან გავწმინდოთ **მთელი** ჩვენი მიწა-წყალი და აღვადგინოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები **მთელ ხაზზე**, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე.

მაგრამ ჩვენი ამოცანები არ შეიძლება შეიზღუდოს ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მტრის ჯარების განდევნით. გერმანელთა ჯარები ახლა მოგვაგონებენ დაჭრილ მხეცს, რომელიც იძულებულია წახოხდეს თავისი ბუნაგის — გერმანიის საზღვრებისაკენ იმისათვის, რომ ჭრილობები მოიშუშოს. მაგრამ თავის ბუნაგში წასული დაჭრილი მხეცი კვლავ საშიში მხეცია. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მოკავშირე ქვეყნები დამონების საფრთხისაგან რომ ვიხსნათ, საჭიროა კვალდაკვალ ვდიოთ დაჭრილ გერმანელ მხეცს და ბოლო მოვუღოთ მას მის საკუთარ ბუნაგში. ხოლო მტრის დევნისას ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ გერმანული ტყვეობიდან ჩვენი ძმები პოლონელები, ჩეხოსლოვაკები და ჩვენი მოკავშირე სხვა ხალხები დასავლეთ ევროპისა, რომლებიც ჰიტლერული გერმანიის ქუსლქვეშ იმყოფებიან.

გასაგებია, რომ ეს ამოცანა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გერმანელთა ჯარების განდევნა საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი ღონისძიებების საფუძველზე, ერთობლივი დარტყმების გზით აღმოსავლეთიდან — ჩვენი ჯარების ძალებით და დასავლეთიდან — ჩვენი მოკავშირეების ჯარების ძალებით. ეჭვი არ არის, რომ მხოლოდ ასეთი კომბინირებული დარტყმით შეიძლება ჰიტლერული გერმანიის სავსებით განადგურება.

ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ოფიცრებო და გენერლებო, პარტიზანებო! საბჭოთა კავშირის მშრომელნო! გერმანელ მჩაგვრელთა უღელქვეშ დროებით მოქცეულო და გერმანიის ფაშისტურ კატორღაში ძალდატანებით გარეკილო ძმებო და დებო!

**მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღესასწაულს!**

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

წითელი არმიის მიერ ფრონტზე მოპოვებულ ისტორიულ გამარჯვებათა პატივსაცემად და ზურგში საბჭოთა კავშირის მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის დიად წარმატებათა აღსანიშნავად, დღეს, მშრომელთა მსოფლიო დღესასწაულის დღეს, 20 საათზე მოსკოვში, ლენინგრადში, გომელში, კიევში, ხარკოვში, როსტოვში, თბილისში, სიმფეროპოლში, ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

**გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!**

**გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!**

**გაუმარჯოს დიად საბჭოთა ხალხს!**

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას!**

**გაუმარჯოს საბჭოთა პარტიზანებს!**

**სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!**

**სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!**

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**



## საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
### 30 აპრილის ოპერატიული ცნობა

**30 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.**

**29 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 37 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 50 თვითმფრინავი.**

* * *

### ჩვენმა ავიაციამ დაბომბა რკინიგზების კვანძი იდრიცა და მოწინააღმდეგის აეროდრომი

29 აპრილს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ დაბომბა რკინიგზების კვანძი იდრიცა და მოწინააღმდეგის აეროდრომი, რომელიც ამავე რაიონში მდებარეობს. საბჭოთა თვითმფრინავების თავდასხმის მომენტში რკინიგზების კვანძზე მოწინააღმდეგის რამდენიმე სამხედრო ეშელონი იყო, ხოლო აეროდრომზე—გერმანელთა მრავალი თვითმფრინავი. დაბომბვის შედეგად დიდი ხანძრები გაჩნდა, რასაც თან ახლდა აფეთქებანი. განსაკუთრებით დიდი ხანძარი და ძლიერი აფეთქებანი შემჩნეულ იქნა აეროდრომის რაიონში.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნ შენაერთის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ადგილობრივი მნიშვნელობის იერიშები და მოსპეს გერმანელთა 8 ტანკი და 2 თვითმავალი ქვემეხი. ჩვენი პოზიციების მისადგომებზე მტრის 300-მდე გვამი დარჩა. სხვა რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მარჯვე მანევრით შემოუარეს მოწინააღმდეგეს და დაიკავეს 2 დასახლებული პუნქტი. ტყვედ წამოყვანილია 150 უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ქალაქ იასის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა არტილერისტები და ნაღმტყორცნელები გერმანელებს კონცენტრირებული ცეცხლით შეხვდნენ. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით. სხვა უბნებზე ჩვენი ნაწილები ბრძოლით დაზვერვას ეწეოდნენ.

საბჭოთა მფრინავები აქტიური მოქმედებით ახშობდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებებს და სპობდნენ მის ცოცხალ ძალას. დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 33 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტზე გვარდიის უფროს ლეიტენანტ სედჩენკოს მეავტომატეთა ქვეგანაყოფი იფარავდა დნესტრზე გადასასვლელის მისადგომებს. გერმანელები მთელ ძალ-ღონეს ხმარობდნენ, რომ დაეკავებინათ ეს გადასასვლელი. დღის განმავლობაში ისინი შვიდჯერ გადმოვიდნენ იერიშზე. ჩვენმა მეავტომატეებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა იერიში და გაჟლიტეს 400-მდე ჰიტლერელი.

* * *

სევასტოპოლის დასავლეთით გაშლილ ზღვაში აღმოჩენილ იქნა მოწინააღმდეგის ბადრაგი სამი ტრანსპორტის, საესკადრო ნაღმოსნისა და ტორპედიანი კატერების შემადგენლობით. შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა იერიში მიიტანეს მტრის გემებზე და ჩასძირეს მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი.

* * *

ლვოვის ოლქში მოქმედი სუვოროვის სახელობისა და შჩორსის სახელობის რაზმების პარტიზანებმა შვიდი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 5 სამხედრო ეშელონი. მარცხის შედეგად დამსხვრეულია 5 ორთქლმავალი და 38 ვაგონი. მოკლული და დაჭრილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 20 აპრილს სუვოროვის სახელობის რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა დანაღმა რკინიგზის ლიანდაგი. ნაღმებს წააწყდა მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი. ორთქლმავალი, 8 ჯავშნიანი პლატფორმა და ჯავშნიანი ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა.

* * *

ჰიტლერელები და მათი რუმინელი ყმები მთელი ძალებითა და საშუალებებით ცდილობდნენ აემხედრებინათ რუმინეთის ფრონტისპირა რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობა წითელი არმიის წინააღმდეგ. გერმანელმა და რუმინელმა სამხედრო ხელისუფლებმა მშვიდობიან მცხოვრებლებს დაავალეს ზურგში გახიზნულიყვნენ და მოესპოთ ძვირფასი ქონება. გერმანელები და მათი აგენტები ყოვლად საზიზღარ ცილისწამებას ავრცელებდნენ და ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ წითელი არმიისათვის რუმინელი მოსახლეობის თვალში. ისინი ცდილობდნენ საბჭოთა ჯარებისათვის მიეწერათ ყველა საზარელი მხეცობა, რაშიაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ხელი გაიწაფეს. პირველ ხანებში ფაშისტურ პროპაგანდას ერთგვარი წარმატება ჰქონდა რუმინელთა ნაწილში. მაგრამ ეს მეტად ცოტა ხანს გაგრძელდა. საბჭოთა მთავრობის განცხადებამ იმის შესახებ, რომ იგი მიზნად არ ისახავს შეიძინოს რუმინეთის ტერიტორიის რაიმე ნაწილი ან შესცვალოს რუმინეთში არსებული საზოგადოებრივი წყობილება, ფარდა ახადა ფაშისტთა სიცრუეს. რუმინეთის იმ რაიონების მცხოვრებნი, რომლებიც წითელმა არმიამ დაიკავა, ცხადად დარწმუნდნენ, რომ გერმანელმა პროვოკატორებმა ისინი უტიფრად და უსინდისოდ მოატყუეს.

სოფელ ფეტეშტის მცხოვრებთა კრებაზე გლეხმა ვასილე უნგურიანუმ განაცხადა: „პირველ მსოფლიო ომში მე, როგორც ჩემი ბევრი სხვა თანამემამულე, რუსებთან ერთად ვიბრძოდით გერმანელთა წინააღმდეგ. რუმინელ გლეხებს არ სურდათ და არ სურთ იომონ რუსეთის წინააღმდეგ. წითელი არმიის მოსვლის წინ გერმანელები ჩვენ ყოველნაირად გვაშინებდნენ და გვიბრძანებდნენ ზურგში გავქცეულიყავით. ახლა ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ, რომ ადგილზე დავრჩით. სულითა და გულით ვუძღვნით მადლობას წითელ არმიას იმისათვის, რომ მან გვიხსნა გერმანელ მძარცველთა და ავაზაკთაგან". სოფელ სკობინციიში მრავალი ოჯახი დაბრუნდა, რომლებიც პირველ ხანებში ტყეში იმალებოდნენ. გლეხი ტროფიმ დუმიტრუ ამბობს: „მართალი რომ ითქვას, მე შიშით მოველოდი რუსების მოსვლას. მაგრამ მთელი ჩემი შიში პირველსავე დღეს გაიფანტა. რუსმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა სანიმუშო ყოფაქცევით საყოველთაო ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს". სოფელ ბერზის მცხოვრებნი გვიამბობენ: „უკანდახევის წინ გერმანელი და რუმინელი სამხედრო ხელისუფალნი გვეუბნებოდნენ, რუსები მოხუცებსა და ქალებს ხოცავენ და მათგან საპონს ხარშავენ, ბავშვებს ცეცხლში ჰყრიანო. ეს არც თუ ისე გვჯეროდა, მაგრამ ჩვენ მაინც შიშით ველოდით მომავალს. ახლა დავრწმუნდით, რომ გერმანელები გვატყუებდნენ. რუსი ოფიცრები და წითელარმიელები ძალიან კარგად გვეპყრობიან". ამ სოფლის გლეხებმა ჩერტოშინმა და მარტინიუხმა განაცხადეს: „ჰიტლერის მიერ დაწყებულმა დანაშაულებრივმა ომმა რუმინელ ხალხს საშინელი უბედურება მოუტანა. კიდევ კარგი, რომ ომი დასასრულს უახლოვდება. ჩვენ ვიცით, რომ გერმანია დამარცხებულ იქნება, და გვსურს, რომ ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს". სოფელ შჩერბაუცის მცხოვრებლებმა მღვდელ პეტრო პოპესკუს მეთაურობით განაცხადეს, რომ მზად არიან შეძლებისდაგვარად დახმარება გაუწიონ წითელ არმიას ჰიტლერული გერმანიის განადგურებაში.

საბჭოთა ჯარების მიერ დაკავებულ ყველა რუმინულ ქალაქსა და სოფელში ცხოვრება თავის ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. გლეხები გულდამშვიდებით ამუშავებენ თავიანთ მინდვრებს. ქალაქებში გაცხოველებული ვაჭრობაა. საწარმოები განაგრძობენ მუშაობას. ქალაქ ბოტოშანში და სხვა დასახლებულ პუნქტებში მღვდლები წირვა-ლოცვას ასრულებენ. რუმინეთის მოსახლეობა, განსაკუთრებით ინტელიგენცია, დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კინოსურათებისა და რადიოგადაცემებისადმი რუმინულ ენაზე.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### მწერალ ი. გ. ერენბურგის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო ომში წარმატებითი სამხედრო-ლიტერატურული მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულ იქნას მწერალი ილია გრიგოლის-ძე **ერენბურგი** ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი, 1944 წლის 30 აპრილი.

საქართველოს ეროვნული

# გამოფენა „ლენინგრადის გმირული დაცვა"

ლენინგრადი, 29 აპრილი (საქდესი). ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს შენობაში 30 აპრილს იხსნება გამოფენა „ლენინგრადის გმირული დაცვა". ეს არის თვალსაჩინო ექსპონატების—დოკუმენტების, ნადავლის, სურათების, პლაკატების, ომიანობის დროის სხვადასხვა რელიქვიებისა და ძეგლების შესანიშნავი კრებული, მიძღვნილი ლენინის ქალაქის გმირული დაცვისადმი. მნახველის თვალწინ ცოცხლდება ლენინგრადელთა თავდადებული ბრძოლის ფურცლები, მეომარი ქალაქის გმირობა და მამაცობა.

პირველი დარბაზები გვიჩვენებენ ომამდელ დიდ ლენინგრადს, მის შესანიშნავ პროსპექტებს, სასახლეებს, სკოლებს, მუზეუმებს, ქარხნებს. ხალისიანი, კაშკაშა იყო ეს ლამაზი ქალაქი მშვიდობიანი შრომის დღეებში. და ერთბაშად რა მრისხანე, დაძაბული გახდა იგი, ისმენდა რა ამხანაგ მოლოტოვის 1941 წლის 22 ივნისის გამოსვლას.

ელექტროფიცირებული რუკა გვიჩვენებს, როგორ ვიწროვდებოდა ლენინგრადის ირგვლივ მტრის ბლოკადის რკალი.

1941 წლის მარტო სექტემბერ-დეკემბერში გერმანელებმა ქალაქს ასიათასზე მეტი ცეცხლწამკიდი და 3.500-ზე მეტი ფუგასური ავიაბომბი დააყარეს; პარაშუტებით ჰყრიდნენ უდიდეს ნაღმებს. მაგრამ ლენინგრადელები მამაცურად განაგრძობდნენ ბრძოლას. ამ ხნის განმავლობაში ლენინგრადის საჰაერო თავდაცვამ ჩამოაგდო ფაშისტთა 555 თვითმფრინავი, დააზიანა 86 და აეროდრომზე მოსპო 98.

გერმანელი ფაშისტი არამზადები ვარაუდობდნენ გაეტეხათ ლენინგრადელთა ნებისყოფა შიმშილის ბლოკადით. არ გამოუვიდათ! ამ არაადამიანურ განსაცდელსაც ღირსეულად გაუძლეს ქალაქის დამცველებმა. გამოფენის ერთ-ერთ ვიტრინაში ვხედავთ სასწორს. ერთ თეფშზე დევს საწონი 125 გრამი საერთო წონისა, მეორეზე კი პატარა ნაჭერი პური — დღიური ულუფა იმ მკაცრ დღეებში. დექსტრინი სამრეწველო ნედლეულია, რომელიც არასოდეს არ უხმარიათ საჭმელად. მაგრამ მისგან ნამცხვარსა და ქადებს ამზადებდნენ. ალბუმინიც სამრეწველო ნედლეულია, მაგრამ მისგან წვენს ხარშავდნენ. კიროვის რაიონის ფაბრიკა-სამზარეულომ შესძლო ცელულოზისაგან მოემზადებინა ერთი მილიონი ათასი კერძი კატლეტი, ბიტკი და სოუზი.

ამ ულრესად ძნელ დროს ლენინგრადელები ეუფლებოდნენ იარაღს, გადიოდნენ სამხედრო სკოლას საყოველთაო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფებში, აგებდნენ დასაყრდენ პუნქტებს ტაქტიკურად მნიშვნელოვან გზაჯვარედინებზე.

მტერი შეჩერებულ იქნა ლენინგრადთან, და ამაშია ლენინის ქალაქის დამცველთა უდიდესი დამსახურება. 245 ათასზე მეტი გერმანელი იქნა მოსპობილი 1941 წლის განმავლობაში, მტერმა 1.024 ქვემეხი, 2.268 თვითმფრინავი, 920 ტანკი და დიდძალი სხვა ტექნიკა დაჰკარგა.

მხატვარ ბაბასიუკის სურათი გვიჩვენებს ამხანაგებს ჟდანოვსა და კუზნეცოვს, როდესაც ისინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკებიან ამხანაგ სტალინს ქალაქის დაცვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო დაძაბულ მომენტში. ლენინგრადელებმა იცოდნენ, რომ მათი ბრძოლით ყველაფერი ქალაქის გმირული დაცვის სულსა და გულს ბოლშევიკური პარტია, ლენინგრადელ ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ამხ. ჟდანოვი წარმოადგენენ, იცოდნენ, რომ მათ ბრძოლას თვალყურს ადევნებს და მათ დაუღალავად ეხმარება დიდი სტალინი, — ეს უნერგავდა მათ მამაცობას, განუმტკიცებდა გამარჯვების რწმენას. დიდი სიყვარულისა და მადლობის გრძნობით იგონებენ ქალაქის დამცველნი იმ დახმარებას, რომელსაც უწევდა მათ ამ დროს მთელი ჩვენი ქვეყანა. სამუდამოდ დარჩება ხსოვნა „სიცოცხლის გზისა"—ყინულის გზისა ლადოგის ტბაზე, რომლითაც მიდიოდა სურსათით დატვირთული ათასობით სატვირთო ავტომანქანა პრიმორიედან, კრასნოიარსკის მხარიდან, გორკიდან, სვერდლოვსკიდან, უზბეკეთის სს რესპუბლიკიდან—ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

მთელი ბლოკადის განმავლობაში თავდადებულად მუშაობდნენ სტახანოველები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მეცნიერები—ლენინგრადის საწარმოთა ყველა მშრომელნი. აი ვიტრინა, რომელშიც ომამდელი პროდუქციის—კანფეტების ლამაზი კოლოფების გვერდით აწყვია ნაღმები—საკონდიტრო ფაბრიკის ახალი ნაწარმი, ქალის ფეხსაცმლის გვერდით—წითელარმიული ჩექმები და ჩანთები, სურნელ „ბელაია ნოჩის" გვერდით—დინამიტის გლიცერინი. მთელი დარბაზი ასახავს იმ მუშაობას, რასაც ეწეოდა ლენინგრადის მრეწველობა, რომელიც ფრონტს ამარაგებდა. ქალაქის კედლებთან ბრძოლა ერთი წუთითაც არ წყდებოდა, და სწორედ ლენინგრადის ფრონტზე ჩაისახა სნაიპერთა მოძრაობა. მარტო 1942 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე ქალაქთან მათ მოსპეს 36.665 ჰიტლერელი.

სიხარულის გრძნობით შეჩერდებიან საბჭოთა ადამიანები იმ განყოფილებაში, რომელიც გვიჩვენებს ლენინგრადის ბლოკადის გარღვევას 1943 წლის 18 იანვარს.

მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა ეტაპზე ხალხი გამარჯვებისაკენ მიჰყავდა ლენინ-სტალინის პარტიას. ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის 70 პროცენტი, მათ შორის პირველადი პარტიული ორგანიზაციების 1.142 მდივანი ომის პირველი დღეებიდანვე წავიდა წითელი არმიისა და ფლოტის რიგებში. ათიათასობით კომკავშირელი ჩადგა ფრონტის მებრძოლთა რიგებში. გამოფენაზე დაცულია სახელოვანი რელიქვიები—მედლები „ლენინგრადის დაცვისათვის", კომკავშირული ბილეთები, მტრის ტყვიებით გახვრეტილნი, სამშობლოს დამცველთა სისხლით შეღებილნი.

გამოფენის სპეციალური დარბაზები გვიჩვენებენ პარტიზანული მოძრაობის გაქანებას ლენინგრადის ოლქში. მტრის ზურგში პარტიზანებმა მოსპეს 104.242 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 3.834 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, ლიანდაგიდან გადააგდეს 987 მატარებელი.

ლენინგრადის ალყა 900 დღის განმავლობაში გერმანელებს დაუჯდათ 600 ათასი მოკლულის, დაჭრილისა და ტყვედ წამოყვანილის ფასად, აქ მათ დაჰკარგეს 1.642 ტანკი, 3.144 თვითმფრინავი, 3.644 ქვემეხი, 5.873 ნაღმსატყორცნი და დიდძალი სხვა საბრძოლო ტექნიკა და საჭურველი.

ი. ბონდარენკო.

# ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

## ჭიათურის მაღაროელთა საპირველმაისო წერილი ნიკოპოლის მაღაროელებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მოგილოცავთ 1 მაისს — მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს.

ხამი თვე სრულდება, რაც გმირმა წითელმა არმიამ იერიშით დაიკავა ქალაქი ნიკოპოლი — უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი. ჩვენი მშობლიური წითელი არმიის შემტევმა ნაწილებმა გერმანელ ყაჩაღებს ხელიდან გამოჰგლიჯეს და საბჭოთა ქვეყანას დაუბრუნეს მარგანეცის ეს მძლავრი საბადო.

ნიკოპოლი ჩვენია! ეს განსაკუთრებით აღაფრთოვანებს ჭიათურის მაღაროელებს, რადგან ნიკოპოლელ და ჭიათურელ მაღაროელებს ერთმანეთთან გვაკავშირებს მრავალი წლის ნაცნობობა, გულწრფელი ძმობა, მტკიცე და ურღვევი სტალინური მეგობრობა, რომელმაც გაუძლო სამამულო ომის ყველა განსაცდელს.

ჭიათურის მშრომელები, მარგანეცის ტრესტის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები გულდასმით გავეცანით თქვენს წერილს, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო „კომუნისტში" და ჩვენს საქალაქო გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში". ჩვენ განვიცდით ტკივილებს იმ მძიმე ჭრილობებისაგან, რომელიც მიაყენეს ფაშისტმა ბარბაროსებმა მშობლიური ნიკოპოლის მარგანეცის შახტებს.

საზიზღარი გერმანელი ფაშისტების ვერაგული თავდასხმის შედეგად ჩვენს შორის ურთიერთობა დროებით შესწყდა, მაგრამ არ შეგვიწყვეტნია თქვენზე ზრუნვა. სამამულო ომის დაწყების დღიდანვე ჩვენი ლოზუნგია—ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!

ჭიათურის მარგანტრესტმა 1943 წელს სამჯერ ზედიზედ გაიმარჯვა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. გამარჯვება მოვიპოვეთ მიმდინარე წლის მარტშიც. სამამულო ომის დღეებში ჭიათურის მარგანტრესტის ქარხანა — მაღაროებში მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოგვცეს სტახანოველებმა: უბნის გამგე ტ. ფოფხაძემ, ამწმენდებმა — პ. მიროტაძემ და ს. ოთინაშვილმა, მებიგე ბ. გელბახიანმა, მბურღავმა ს. სერგეევმა, ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ჯიმკარიანმა და სხვ.

ცნობილი სტახანოველი, უბნის გამგე, ლენინის ორდენოსანი პ. ბოყოველი, რომელიც 1940 წელს გესტუმრათ, როგორც ჩვენი დელეგაციის წევრი, გმირი წითელი არმიის მიერ ნიკოპოლის განთავისუფლების სასიხარულო დღეს საბრძოლო ვახტზე დადგა და უბნის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ნიკოპოლის განთავისუფლების სასიხარულო ამბავს ასევე პატრიოტული შრომითი აღფრთოვანებით შეხვდა და გმირი წითელი არმიის ისტორიულ გამარჯვებებს გაორკეცებული მუშაობით უპასუხა ჭიათურის მარგანტრესტის ყველა მუშა-მოსამსახურემ და ინჟინერ-ტექნიკოსმა.

ძვირფასო ამხანაგებო! დიდმა ბელადმა და სწორუპოვარმა სარდალმა ამხანაგმა სტალინმა საბრძოლო ამოცანად დაგვისახა: „ჩვენ მთლიანად უნდა მოვახდინოთ გერმანელთა ბატონობის შედეგების ლიკვიდაცია იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა ოკუპაციისაგან". ეს დიდი საყოველთაო-სახალხო ამოცანაა. ჩვენ გადავწყვიტეთ თქვენთან ერთად ჩავდგეთ ვერაგი მტრის მიერ დანგრეული ნიკოპოლ-მარგანეცის შახტების აღმდგენთა რიგებში.

სიხარულით ვღებულობთ თქვენს გამოწვევას სოციალისტური შეჯიბრების განახლების შესახებ. პირობას ვიძლევით კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის.

ვეჯიბრებით რა თქვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამასთან ერთად ვკისრულობთ გაგიწიოთ შეფობა ვერაგი მტრის მიერ დანგრეული შახტების აღდგენაში. ჩვენ უკვე შევაგროვეთ და საპირველმაისო საჩუქრად გიგზავნით 4 სახარატო სარანდავ დაზგას, 1 სახვრეტ მანქანას, 1 სამჭედლო ვენტილატორს მოტორით, 7 კომპლექტს სამარკშეიდერო ხელსაწყოს, 200 კილოგრამ სატელეფონო მავთულს, 100 კილოგრამ საწერ ქაღალდს, 3 ტრანსფორმატორს, 100 სხვადასხვა ბურღს, 200 ბურთულა-საკისარს, 500 კილოგრამ ლურსმანს, 300 ცალამდე საზეინკლო-სამონტაჟო ხელსაწყოს, მრავალ სხვადასხვა ელექტრომოწყობილობას და სხვა მასალებსა და იარაღს. ჭიათურის რემდასის ორგანიზაცია ნიკოპოლის პოლიტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს საპირველმაისო საჩუქრად უგზავნის 2.500 ცალ სხვადასხვა მხატვრულს და პოლიტიკურ წიგნს.

ამ წერილს გწერთ სასიხარულო მომენტში, როდესაც ჩვენი გმირი წითელი არმია, რომელიც მაღალსა და წმინდა ამოცანებს ასრულებს ჰიტლერელ ყაჩაღთა წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, განაგრძობს მტრის დევნას მტრისავე ტერიტორიაზე მის საბოლოო განადგურებამდე.

წითელი არმიის სულ უფრო და უფრო ზრდადი ძალის დარტყმები თავს ატყდება გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს. მოახლოებულია მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების ბრწყინვალე ჟამი.

წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული ჭიათურელი მაღაროელები ახალი საწარმოო მიღწევებით შევხვდით 1 მაისის დღესასწაულს და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი მომავალში უფრო მეტი თავდადებით ვიმუშაოთ, მივაწოდოთ წითელ არმიას ყოველივე, რაც საჭიროა მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის, და ამავე დროს ფართო დახმარება გაგიწიოთ თქვენ, ჩვენს თანამოძმეებს, ნიკოპოლ-მარგანეცის შახტების აღდგენაში.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მათ განსადევნად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. სხილაძე
ჭიათურის მარგანტრესტის მმართველი ბ. ანდღულაძე
მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. კაპანაძე
სამხრეთის მხარის რკინა-მადნის პროფკავშირის ჭიათურის რაიკომის თავმჯდომარე ნ. ვაშაძე

# საჩუქარი სინელნიკოველებს

გურჯაანი („კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან). გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულმა უკრაინის სს რესპუბლიკის დნეპროპეტროვსკის ოლქის სინელნიკოვოს რაიონის შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობამ კვლავ განაახლა სოციალისტური შეჯიბრება გურჯაანის რაიონის სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენასთან".

კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის" წევრებმა მიიღეს სინელნიკოვოს პარტრაიკომის მდივნის ამხ. ვაკულენკოს და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ნოვოხატკოს წერილი. ყანდაურელი კოლმეურნეები აღაფრთოვანა ამ გულთბილმა წერილმა. საერთო კრების დადგენილებით შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობას საპასუხო წერილი გაეგზავნა.

ამასთანავე კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენამ" გადასწყვიტა შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის წევრებს გაუგზავნოს 6 სული მოზვერი, 28 სული დედა-ცხვარი, 600 კილოგრამი სათესლე ხორბალი, 4 გუთანი, 1 საწერი მაგიდა და სხვ.

ნ. ჯანჯღავა



მსროლელი რადისტები გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ა. დემხინი და გვარდიის ლეიტენანტი ვ. სუდაკოვი. მათს საბრძოლო ანგარიშზეა 170 გაფრენა „პეტლიაკოვ-2-"ით და ოც-ოცდაათი საჰაერო ბრძოლა, რომლებშიც მათ პირადად ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ოთხ-ოთხი თვითმფრინავი და ჯგუფურ ბრძოლებში—სამ-სამი თვითმფრინავი. ორივე სამგზის არის დაჯილდოებული საბჭოთა კავშირის ორდენებით.

ფოტო ი. იარინისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

# ვამაყობთ საბჭოთა კავშირის გმირის ზ. ს. ხიტალიშვილის ბრწყინვალე გამარჯვებებით

მოსკოვიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის სახელზე მიღებულია დეპეშა, რომელშიც ყირიმისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის მებრძოლი მფრინავები ულოცავენ ქართველ ხალხს სტალინური შევარდნის, საბჭოთა კავშირის გმირის ზ. ს. ხიტალიშვილის ახალ ბრწყინვალე წარმატებებს საბჭოთა ყირიმისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში:

„ყირიმისა და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების მონაწილე მფრინავები გილოცავთ ქართველი ხალხის მამაცი შვილის ავიაესკადრილიის მეთაურის საბჭოთა კავშირის გმირ კაპიტან ზაქარია სოლომონის-ძე ხიტალიშვილის განსაკუთრებულ წარჩინებასა და გმირობას. ვამაყობთ და ვულოცავთ ქართველ ხალხს ძვირფასი შაქროს ბრწყინვალე წარმატებას.

პ. ტკაჩოვი, ვ. ჯაიანი, [illegible] კარპოვი".

# სტეფანე თარალაშვილი



სტეფანე თარალაშვილი ომამდე სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობდა. მამობრივი მზრუნველობით დასტრიალებდა იგი თავის მოსწავლეებს, ზრდიდა მათ. მოწინავე პედაგოგმა სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ისე დააყენა, რომ რაიონის გარდამავალი დროშა მიიღო.

როგორც კი ომი დაიწყო, თარალაშვილმა ფრონტს მიაშურა. წიგნი შაშხანით შესცვალა და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა.

სტეფანემ სამხედრო ცოდნა ჯერ კიდევ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს მიიღო. მაშინ მას უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. ბრძოლებში კავკასიის კალთებზე, ყუბანში, ტამანსა და ყირიმში იგი განუწყვეტლად სრულჰყოფდა სამხედრო ოსტატობას, ყოველდღიურად იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. ახლა ს. თარალაშვილი უნარიანი და გამოცდილი უფროსი ლეიტენანტია. ქართველ ვაჟკაცს მკერდს უმშვენებს მთავრობის მაღალი ჯილდო—წითელი დროშის ორდენი.

ამხ. თარალაშვილმა მთელს ფრონტზე გაითქვა სახელი, როგორც შესანიშნავმა სნაიპერმა. მან გამოიგონა ბევრი ახალი ხერხი მტრის სნაიპერებთან წარმატებით საბრძოლველად. სნაიპერები ხშირად სიამაყით წარმოსთქვამენ ხოლმე: „ჩვენ თარალაშვილის მეთოდით ვმუშაობთ". მან მართლაც ბევრი სნაიპერი აღზარდა.

სნაიპერული შაშხანით პირადად თარალაშვილს მოსპობილი ჰყავს 140 გერმანელი. მისი სახელი ცნობილი გახდა მტრის ბანაკში. ჰიტლერელებმა ჯილდოც კი დააწესეს თარალაშვილის მოკვლისათვის. ფაშისტი სნაიპერები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მოეკლათ ეს „ყველაზე საშიში სნაიპერი", მაგრამ თარალაშვილი კვლავ შიშის ზარს სცემდა ჰიტლერელებს და მრავალ მათს სნაიპერს მოუსპო სიცოცხლე.

ერთხელ ფაშისტმა სნაიპერმა დუელი გაუმართა თარალაშვილს. ხეებს ამოფარებულნი ისინი ერთმანეთს ესროდნენ რიგრიგით. ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ საბჭოთა ტყვიამ, ქართველი ვაჟკაცის მარჯვენით გასროლილმა, შიგ შუა გულში გაუარა ჰიტლერელ ქვეწარმავალს. სარდლობამ თარალაშვილს სახელდებული სნაიპერული შაშხანა გადასცა.

ყუბანის ველებზე ცხარე ბრძოლებში თარალაშვილმა გვიჩვენა შეუპოვრობისა და ვაჟკაცობის იშვიათი მაგალითები. იგი შეიპარებოდა ხოლმე მტრის ზურგში, მებრძოლთა მცირე ჯგუფებით და ანადგურებდა მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას.

ერთხელ თარალაშვილი შარაგზაზე მიმავალ გერმანელთა კოლონას ჩაუსაფრდა, გრანატებით ააფეთქა ბენზინის კასრებით დატვირთული ავტომანქანა და რამდენიმე ჯარისკაცი გაჟლიტა. მეორე დღეს მანქანით მიმავალ გერმანელ ოფიცერს ყუმბარა შეუგდო კაბინში. მანქანა დაიმსხვრა და ფაშისტი ოფიცერი ნაკუწნაკუწად იქცა.

ბევრი შესანიშნავი ბრძოლა გადაიხადა ქართველმა ვაჟკაცმა მეთაურმა ქერჩის ნახევარკუნძულზე. ერთი დიდი დასახლებული პუნქტისათვის ქუჩის ბრძოლებში მებრძოლთა ჯგუფით იბრძოდა, იერიშ-იერიშზე მიიტანა მტრის ძლიერ გამაგრებულ თავდაცვის ხაზზე, გაარღვია იგი და მტერი აიძულა დიდი ზარალით უკან დაეხია. თარალაშვილმა ამ ბრძოლაში ხელთ იგდო მოწინააღმდეგის 4 ზარბაზანი, 2 ავტომანქანა, ტანსაცმლის საწყობი და ტყვედ წამოიყვანა 3 გერმანელი ჯარისკაცი.

ეს მხოლოდ ცალკე ეპიზოდებია მამაცი ქართველი ოფიცრის საფრონტო ცხოვრებიდან.

მაიორი ვ. ესაიაშვილი

# მეომართა ორასი წერილი



ჰოსპიტლის ქირურგიულ განყოფილებაში გაცხოველებული მზადება იყო. ვეებერთელა პალატის ერთი კუთხე ყვავილებით მოერთოთ, კოხტა მაგიდაზე საჩუქრები მოემზადებინათ.

დაჭრილი მეომრები შეხვედრას უმართავდნენ თავიანთ საყვარელ დასა და მეგობარს ექიმ ლუბა ნიკოლაიშვილს.

ყველაფერი მზად იყო, როცა პალატაში შემოვიდა სათნო, მიმზიდველი სახის ახალგაზრდა ქალი. იგი არც თუ ისე სადღესასწაულოდ იყო მორთული. მის შავ თმას თეთრი ხილაბანდი ჰფარავდა, ტანზეც თეთრი ხალათი ემოსა, ადგილ-ადგილ სისხლით დასვრილი. მან ის-ის იყო ოპერაცია დაამთავრა, რომ მოახსენეს, ავადმყოფები გელიანო. ქალის სახეზე განცვიფრება იხატებოდა. ავადმყოფები მას მხურვალე ტაშით შეხვდნენ, მიულოცეს დაბადების დღე, მადლობა გადაუხადეს თავდადებული მზრუნველობისათვის და საჩუქრები მიართვეს; 150-მა დაჭრილმა და ავადმყოფმა მებრძოლმა უბრალოდ, მაგრამ გულწრფელად გამოსთქვა თავისი აღფრთოვანება და პატივისცემა მზრუნველი ექიმისადმი.

ახალგაზრდა ექიმი ლუბა მიხეილის-ასული ნიკოლაიშვილი მუშაობს საევაკუაციო ჰოსპიტალში, რომლის უფროსია სამედიცინო სამსახურის მაიორი ა. თუხარელი და მოადგილე პოლიტიკურ დარგში ხ. გრიგორაშვილი. ამხ. ნიკოლაიშვილი მუშაობს მეორე ქირურგიული განყოფილებისა და სისხლის გადასხმის კაბინეტის უფროსად. 1936 წელს მან დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქალაქის პირველი საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკაში. სამამულო ომის პირველივე დღეებიდან ლ. ნიკოლაიშვილი წითელ არმიაში გაიწვიეს და გაგზავნეს სამუშაოდ ჰოსპიტლებში. ახალგაზრდა ექიმმა ქალმა თავი გამოიჩინა დაუღალავი, თავდადებული მუშაობით და დაჭრილ მეომრებს შორის დიდი სიყვარული დაიმსახურა. მან გააკეთა ათასზე მეტი რთული ოპერაცია, მრავალჯერ მოახდინა სისხლის გადასხმა, რამაც ხელი შეუწყო დაჭრილი მებრძოლების ჩქარა გამოჯანსაღებასა და მათ დაბრუნებას წითელი არმიის რიგებში.

ერთხელ ჰოსპიტალში მოიყვანეს მძიმედ დაჭრილი მებრძოლი დონეცი. ყუმბარის ნამსხვრევს მისთვის თავის ქალა გაეხვრიტა და ტვინზე მიბჯენოდა. მებრძოლი უგრძნობლად იყო; მას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ლუბა ნიკოლაიშვილმა სასწრაფოდ გაუკეთა ოპერაცია, მისი მზრუნველობით მებრძოლი მალე გამოჯანსაღდა და ფრონტს დაუბრუნდა.

წითელარმიელ გუსარს ყუმბარის ნამსხვრევისაგან მხრის ძვალი ჰქონდა დამტვრეული. მდგომარეობა სერიოზული იყო. ლუბამ გაუკეთა ოპერაცია და სულ მოკლე ხანში ავადმყოფს აღუდგინა მოძრაობა სახსარში. გამოჯანსაღებული მებრძოლი გუსარიც კვლავ ფრონტზე წავიდა.

ამხ. ნიკოლაიშვილის ნაყოფიერი მუშაობა, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტისა, ღირსეულად შეაფასა ჰოსპიტლის სარდლობამ. სანიმუშო მუშაობისათვის ქირურგიულმა განყოფილებამ, რომლის უფროსია ექიმი ლუბა ნიკოლაიშვილი, სამჯერ მიიღო გარდამავალი დროშა, თვითონ ლუბა დაჯილდოებულია ორი საპატიო სიგელით და მრავალჯერ ბრძანებით გამოცხადებული აქვს მადლობა.

ლუბას გულთბილ წერილებს უგზავნიან ოფიცრები და მებრძოლები, რომელთაც მან სიცოცხლე შეუნარჩუნა.

„ძვირფასო ლუბა მიხეილის-ასულო! მიიღეთ ჩემი გულწრფელი მადლობა გულისხმიერი მზრუნველობისათვის, — ვკითხულობთ მებრძოლ ავდოტინის წერილში.—მუდამ მეხსომებით, როგორც ღირსეული ადამიანი. ჩემი ცოლი და ვაჟი მადლობას გითვლიან თქვენ და მთელი გულით ბედნიერებას გისურვებენ".

„ძვირფასო ლუბა მიხეილის-ასულო! მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ მამას დაეხმარეთ და შინ დაგვიბრუნეთ",—სწერს ლუბას მოსწავლე გოგონა გალინა ნესტეროვა.

მებრძოლი მხატვარი პოლიანოვი, რომელიც ლუბამ განკურნა და წითელ არმიას დაუბრუნა, სწერს: „ისევ მივდივარ ფრონტზე და ჩემს მეხსიერებაში მუდამ დარჩება ნათელი მოგონება თქვენზე, როგორც მშვენიერ ხელმძღვანელზე და ქირურგზე".

რამდენი ასეთი გულთბილი სტრიქონის მოყვანა შეიძლება იმ 200 წერილიდან, რაც ამ მოკლე ხანში მიიღო ლუბამ მის მიერ განკურნებული მებრძოლებისაგან. ეს წერილები ნათლად გვიჩვენებენ ახალგაზრდა პატრიოტი ქალის თავდადებას საყვარელი სამშობლოსათვის.

ა. ჟუჟნია

# ბრძანება ქ. თბილისის გარნიზონისადმი

1944 წ. 30 აპრილი. ქ. თბილისი.

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარების სარდლის ბრძანების საფუძველზე ვბრძანებ:

1. 1 მაისს, მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების დღეს, 20.00 საათზე მოსკოვის დროით ქალაქ თბილისში მიცემულ იქნას საარტილერიო სალუტი ოცი ზალპით.

2. საარტილერიო სალუტის მოწყობასა და ჩატარებას ვავალებ გენერალ-მაიორ ამხ. გორბუნოვს.

ქ. თბილისის გარნიზონის უფროსი გვარდიის გენერალ-ლეიტენანტი ივანოვი

# მეზღვაურთა საბრძოლო საქმეები

(„პრავდის" სამხედრო კორესპონდენტისაგან)

ამ დროს, როცა უკრაინის მე-4 ფრონტის ნაწილები ანადგურებენ მარწუხში მომწყვდეულ გერმანელთა და რუმინელთა ჯარებს, შავი ზღვის ფლოტი ურტყამს მათ ზღვიდან.

ყირიმში ნათელი, მზიანი ამინდია. მშვიდი და წყნარია წყლის ლურჯი სივრცე. მაგრამ საკმარისია გამოჩნდეს გერმანელთა ქარავანი, რომ სიმშვიდეს მყისვე არღვევს სწრაფი და ულმობელი საზღვაო ბრძოლის გრიალი. ერთ შემთხვევაში ეს იმით იწყება, რომ ზღვის ზედაპირზე თვალის დახამხამებაზე გამოჩნდება წყალქვეშა ნავის პერისკოპი, და აი გერმანელთა ტრანსპორტის ქიმისაკენ ტორპედო მიქრის. სხვა შემთხვევაში გერმანელი მენიშნეები ამჩნევენ ჰორიზონტზე რამდენიმე მუქ წერტილს. ეს წერტილები ახლოვდება, იზრდება და, ბოლოს, იქცევა ჩვენი სატორპედო კატერების აშკარა სილუეტებად.

სავსებით გასაგებია ის პანიკა, რომელიც ამ დროს გერმანელებს მოიცავს: ღირდა თავის დაღწევა ყირიმის „ქვაბიდან", გადარჩენა ჰაერიდან დაბომბვას, რომელიც გზებზე ჟლეტდა ჯარების მთელ კოლონებს, ცოცხლად გადარჩენა საბჭოთა არტილერიის გამანადგურებელი თავდასხმის შემდეგ, რომ ბოლოს და ბოლოს აღსასრული ეპოვნათ შავი ზღვის ტალღებში!

ყირიმიდან ხდება მხოლოდ ოფიცერთა და განსაკუთრებით „საიმედო" კადრების ევაკუაცია. ამრიგად, საზღვაო კომუნიკაციებზე შავზღვაელები იჭერენ ჩვენი სამხრეთის თავზეხელაღებულ ჯალათებსა და მძარცველებს, რომლებიც შურისგებას გაურბიან. და შემთხვევითი არ არის, რომ ზღვაში ხელთ ჩაგდებული ეს ბოროტმოქმედი საპყრობილეთილი გააფთრებით ეწევიან წინააღმდეგობას, ხმარობენ ქვემეხებს, ტყვიამფრქვევებს და სიღრმის ბომბებს. მაგრამ ყველა მათი ღონისძიება უშედეგოა.

ამ დღეებში სევასტოპოლიდან გავიდა ტრანსპორტი 3 ათასი ტონა წყალწყვისა, გაჭედილი ჰიტლერელთა ევაკუირებული ოფიცრებით. ტრანსპორტი ჩაძირულ იქნა.

მალე ამის შემდეგ ერთ-ერთმა ჩვენმა სატორპედო კატერმა ჰორიზონტზე მოწინააღმდეგის სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი შეამჩნია. მენიშნემ ბაქანზე მრავალი გერმანელი დაინახა. კატერი სწრაფად გაიმალა, საბრძოლო კურსი აიღო და იერიშზე გადავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ზუსტად გასროლილი ტორპედო მოხვდა კარჭაპის ყველაზე უფრო ვნებად ნაწილში.

სიტყვამ მოიტანა, და გერმანელთა ამ კარჭაპების შესახებ უნდა ითქვას. გერმანელები მათზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მათ დიდძალი ასეთი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი აავეს. ეს სერიოზულად შეიარაღებული და მანევრირების უნარის მქონე ხომალდებია. მაგრამ ისინიც ვერ შველიან გერმანელებს.

ზღვის მფრინავებმა და შავი ზღვის ფლოტის გემებმა უკანასკნელ დღეებში ჩასძირეს და დააზიანეს მტრის რამდენიმე ათეული ხომალდი. მოსპობილ გემთა შორის არის 4 ტრანსპორტი და 15 სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი. თუ ვივარაუდებთ, რომ თვითეულ ტრანსპორტსა და კარჭაპზე გერმანელები ევაკუაციისას ჯარისკაცებისა და ოფიცრების მაქსიმალურ რაოდენობას ათავსებდნენ, მაშინ ზარალის საგრძნობ ციფრს მივიღებთ, რაც სახელოვანმა შავზღვაელებმა მტერს მიაყენეს.

პ. სიცოვი

შავი ზღვის ფლოტი, „პრავდა".

# საყვირის ხმაზე

მანქანამაც—უსულო საგანმა—იცის ავადმყოფობა. აგერ გაიღო ქარხნის ვეება ალაყაფის კარი და ორთქლმავალმა ზანტად შეაგორა შუშის სახურავიან დიდ ფარდულში ავადმყოფ ორთქლმავალთა წყება. ისინი უძრავად მიატოვა წინამძღოლმა, ხოლო თვითონ ხმაურითა და შიშინით მიიმალა საქარხნო კორპუსებში, საიდაც შორიდან უკან შემობრუნდა და სრიალით მიაშურა კვლავ ღია ალაყაფის კარს, რათა მანქანათა ამ უხუცეს საკურნალოში მწყობრიდან გამოსულ ორთქლმავალთა ახალ წყებას შემოუძღვეს.

მაღალ და გრძელ ფარდულში სარემონტოდ შემოყვანილი ორთქლმავლების შემოწმება ხდება. ქარხნის მთავარი მექანიკოსი ამხ. ლ. გოგიძე და ორთქლმავალთა ამწყობი საამქროს უფროსი ამხ. ერ. კოქლავაშვილი გამოცდილი დოსტაქრის თვალით ამოწმებენ უძრავად მდგარ ორთქლმავალთა სატკივარს და თან „სარემონტო პასპორტში" აღნიშნულ შენიშვნებს ათვალიერებენ.

— №... სერიის ორთქლმავალზე... სავსებით უნდა გამოიცვალოს საცეცხლური, ბანდაჟები... დიდი ლილვი...

დამთავრდება შემოწმება და თვითეული „ავადმყოფი" ორთქლმავლის ზუსტი დიაგნოზი უკვე ჩაწერილია ჟურნალში. აღნიშნულია ქარხანაში მისი მიღების დრო და ახლა საჭიროა „მკურნალობის" ზუსტი გრაფიკის დამუშავება. ამ საქმეს ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები აკეთებენ.

აქ ყველაფერი სწრაფად კეთდება, გაუჭიანურებლად, დაუყოვნებლივ, იწყება ორთქლმავალთა „განკურნების" პროცესები...

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, ერთ-ერთი უხუცესთაგანი მთელ საქართველოში და ყველაზე სახელოვანი თავისი რევოლუციური წარსულით, დიადი ბრძოლების ტრადიციით, მოწინავე საწარმო,—ორთქლმავლების, ელექტრომავლებისა და ვაგონების მთავარი „სამკურნალო" ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე.

დიდებით არის მოსილი ამ ქარხნის სახელი. აქ ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ პირველ რევოლუციურ-მარქსისტულ წრეს

დიდი სტალინი.

„...მაგონდება 1898 წელი,—ამბობდა ამხანაგი სტალინი 1926 წელს, — როდესაც მე პირველად მივიღე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე. ეს 28 წლის წინათ იყო. მაგონდება, თუ როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე, სილიბისტრო ჯიბლაძის (ისიც მაშინ ჩემი ერთ-ერთი მასწავლებელი იყო), ზაქრო ჩოდრიშვილის, მიხო ბოჭორიშვილის, ნინუასი და თბილისის სხვა მოწინავე მუშათა თანდასწრებით"...

ამ ქარხნის მუშათა კოლექტივში იყო და რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა დიდი საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.

აი რას ამბობს ამხანაგი ლ. პ. ბერია:

„1900 წ. მაისიდან ივლისამდე თბილისის საწარმოებში არ სწყდება გაფიცვების ტალღა. 1900 წ. აგვისტოში რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, მ. ი. კალინინის აქტიური მონაწილეობით აწყობენ გრანდიოზულ გაფიცვას, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 ათასამდე მუშამ".

ამ საწარმოს სამექანიკო საამქროში დღესაც დგას და მუშაობს ძველი დაზგა, რომელზეც გაკეთებულია აბრა წარწერით:

> 1900 წელს ამ დაზგაზე მუშაობდა მიხეილ ივანეს-ძე კალინინი

აქ მუშაობდა, ამ ქარხნის კოლექტივში იყო „მაკარ ჩუდრას" უკვდავი ავტორი, უდიდესი საბჭოთა მწერალი

მაქსიმ გორკი.

მრავალი გამოჩენილი ადამიანი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, სამშობლოს სახელოვანი შვილი გამოუზარდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ჩვენს ქვეყანას. აქ მუშაობს სტალინური სტილი დანერგა და განამტკიცა დიდი სტალინის ერთგულმა მოწაფემ, ქართველი ხალხის საამაყო შვილმა

ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ.

ამ ქარხანაში აღიზარდნენ და აქედან წავიდნენ სახელმძღვანელო სამუშაოზე—გზათა მიმოსვლის პირველი რანგის ვიცე-გენერალი ამხ. ბ. არუთინოვი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობის დარგში ამხ. მ. ჩუბინიძე, მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის უფროსი, წევის დარგის მესამე რანგის გენერალ-დირექტორი გ. ქადაგიძე და სხვა მრავალი.

მას შემდეგ, რაც ეს ქარხანა დაარსდა და მუშაობა დაიწყო როგორც „ამიერ-კავკასიის რკინიგზის მთავარმა სახელოსნოებმა", 61 წელმა განვლო. 1883 წლიდან განვლილი დროის მანძილზე ქარხანა გაიზარდა, სავსებით შეიცვალა არა მარტო საწარმოო პროფილი, არამედ გარეგნობაც. ახლა ამ ქარხანაში რამდენიმე ათეული საამქროა. საორთქლმავლო დეპო, რომელიც უწინ ამ ქარხნის ერთ-ერთ საამქროს წარმოადგენდა, ახლა საკმაოდ მოზრდილი, დამოუკიდებელი, ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე ერთ-ერთი წამყვანი საწარმოა.

ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში, ახლა არა მარტო „ავადმყოფ" ორთქლმავლებს, ელმავლებსა და ვაგონებს მკურნალობენ, არემონტებენ, გაჯანსაღებულს უბრუნებენ ჩვენს სოციალისტურ ტრანსპორტს, აქ აკეთებენ აგრეთვე მრავალი სახელწოდებისა და დანიშნულების ახალ პროდუქციასაც.

სამამულო ომის დაწყების დღიდანვე ბელადის სახელობის ქარხნის კოლექტივმა საომარ ყაიდაზე გარდაქმნა მუშაობა. იმ კვირა დღეს, როცა ომი დაიწყო, ქარხანაში სწრაფად შეიკრიბნენ მუშები და დაიფიცეს—ყველაფერი გაეკეთებინათ თავხედი მტრის გასანადგურებლად.

საქარხნო კორპუსთა კედლებზე, ქარხანაში შესასვლელებთან, საამქროებში აგრეგატებთან და დაზგებთან, წითელი ტილოები გააკრეს. ზედ ეწერა:

— ყველაფერი ფრონტისთვის, ყველაფერი გამარჯვებისთვის!

—ჩვენი საბრძოლო პოზიციები აქ არის! ვიმუშაოთ უფრო მაღალნაყოფიერად, მივაწოდოთ წითელ არმიას ყოველივე, რაც მას სჭირდება მუხანათი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად!

მეორე დღესვე შეუდგნენ ქარხანაში ახალი სპეციალური დანიშნულების საამქროთა მოწყობას. მაშინ შეიქმნა და მუშაობას შეუდგა ამხ. დ. პეტრიაშვილის საამქრო. მაშინ ამუშავდა ამხ. მ. ერშოვის, გ. სიმონიანის და მთელი რიგი სხვა საამქროები.

ბევრი უძილო ღამე გაათენეს საამქროებში დაზგებთან და საკონსტრუქტორო ოთახებში სახაზავ მაგიდებთან ქარხნის სახელოვანმა ადამიანებმა. მათთან ერთად იყვნენ ქარხნის უფროსი, წევის დარგის მესამე რანგის გენერალ-დირექტორი, ბავშვობიდანვე ამავე ქარხნის კოლექტივში აღზრდილი სახელოვანი მჭედელი დავით ჰეჰინაძე, საქარხნო პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, აგრეთვე ბავშვობიდანვე აქ აღზრდილი ინჟინერი ილია ნეფარიძე. ფრონტულად გაჩაღეს მუშაობა საორთქლმავლო საამქროს საკომპლექსო ბრიგადების ხელმძღვანელებმა გიორგი ზანგურაშვილმა და ვასო იმხანაშვილმა, სავაგონო საამქროს სტახანოველმა ზენკალმა მიხეილ პაპინაშვილმა, სამჭედლო საამქროს უფროსმა ალექსი ხიზანაშვილმა, ამავე საამქროს შესანიშნავმა მჭედელმა კოტე ილურიძემ და მექვაბეთა ბრიგადირმა იაკობ ბაბაევმა. კიდევ რამდენის ჩამოთვლა შეიძლება!

...აუცილებელი იყო ახალი სახის პროდუქცია. ამისთვის საჭირო გახდა ახალი სახის ნედლეული, საჭირონი იყვნენ კვალიფიციური ოსტატები, ხელოსნები... ბოლშევიკურმა მოსაზრებულობამ და გეგმიანობამ შედეგიც მალე მოგვცა. უწყვეტ ნაკადად დაიძრა ქარხნიდან ფრონტისათვის საჭირო პროდუქცია. ხალხს მკლავში ძალა ემატებოდა, დიდი სტალინის იმედიანი სიტყვები ადამიანებს თავდადებისათვის აღაფრთოვანებდა:

— მტერი დამარცხებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

მოაღწია 1942 წლის მძიმე პერიოდმა. გერმანულ ქვემეხთა სროლის ხმა და საბჭოთა არტილერიის საპასუხო გრგვინვა მოისმა სტალინგრადიდან, კავკასიონის მთების კალთებიდან. დროებით შესწყდა ქარხნისათვის საჭირო იშვიათი ნედლეულის მიწოდება. მარაგი ყოველდღე მცირდებოდა, ხოლო მუშაობის შეჩერება, თუნდაც ერთი დღით, ერთი საათით შეუძლებელი, აბსოლუტურად დაუშვებელი იყო. დეტალი № 1 უნდა მიეღო ქვეყანას იმ რაოდენობით, რამდენიც საჭირო იყო. მაგრამ ნედლეული არსაიდან ჩანდა...

მუშებმა წინადადება შემოიტანეს, სპეციალისტებმა იგი შეამოწმეს, შეისწავლეს, გამოიკვლიეს, შემდეგ ცდები მოახდინეს...

— არის!

№ 1 დეტალის გამოშვება ერთი წუთითაც არ შეფერხებულა.

ბევრი ახალი სიტყვა სთქვეს აქაურმა რაციონალიზატორებმა სამამულო ომის დღეებში. ბევრი ვაგონი, ბევრი ორთქლმავალი, დიდძალი სხვა პროდუქცია მიაწოდეს მათ ფრონტს, ჩვენს ქვეყანას.

შაქრო ნადირაშვილმა, ძველმა გამოცდილმა მუშამ, სტახანოველმა და რაციონალიზატორმა, თუჯის შედუღების ახალი საკუთარი მეთოდი გამოიმუშავა და ახლა ამ მეთოდით თუჯის შედუღება დანერგილია მთელს ჩვენს მრეწველობაში.

მიხეილ გეწაძე, სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი საქართველოში, ორდენოსანი, საორთქლმავლო ქვაბების შეუდარებელი ოსტატი, კვლავ შესანიშნავად მუშაობს. მან გააუმჯობესა ორთქლმავლის საცეცხლური დეტალების წარმოების პროცესი ისე, რომ იმ საქმეს, რომელსაც ომამდე 8-10 კაცი სჭირდებოდა, ახლა სამი კაცით აკეთებს. ასეთი ადამიანები ქარხნის კოლექტივს ბლომად ჰყავს.

ისინი იყვნენ აქ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. შეჯიბრება გრძელდება ახლაც საამქროებსა, ბრიგადებსა, პროფესიების საუკეთესო წარმომადგენელთა შორის. ჯერ საბოლოოდ შეჯამებული არ არის აპრილის მუშაობის შედეგები. მაგრამ ბევრი რამ შეიძლება ახლავითვე ითქვას: საუკეთესოა საელმავლო საამქრო. მისმა ხელმძღვანელებმა ინჟინერმა გ. გოცირიძემ და მ. კუპრავამ შესძლეს მტკიცე ჯანსაღი კოლექტივის შექმნა. მეელმავლეებს პირველობაში ეცილება სატენდერო საამქროს კოლექტივი. საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს აგრეთვე საქვაბე და საბორბლე-სახარატო საამქროებმა. უკვე ცნობილია, რომ აპრილში ქარხნის მთელმა კოლექტივმა უკეთ იმუშავა, ვიდრე მარტში, უკეთესი მაჩვენებლებით შეასრულა აპრილის საწარმოო დავალებები და გაანაღდა საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებები. სტალინელები იმისათვის იბრძოდნენ, რომ შეენარჩუნებინათ გზათა სახალხო კომისარიატისაგან მარტში მიღებული გარდამავალი წითელი დროშა.

ორწელიწადნახევრის განმავლობაში სდუმდა დედაქალაქში ყველაზე მძლავრი, ყველაზე ომახიანი ხმის საქარხნო საყვირი. ასეთი საყვირი სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანას აქვს. სდუმდა ეს საყვირი საგანგაშო ახმაურების მოლოდინში და ისევე, როგორც ახლა მისი ხმაური, მაშინ ეს დუმილი ახსენებდა ყველა მუშას, რომ იწყებოდა სამამულო ომის მორიგი დაძაბული შრომის დღე. თითქოს განვლო განგაშის მოლოდინმა. წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა ფრონტზე ხმა ამოაღებინეს საქარხნო საყვირს. ახლა...

მზე სხივს სტყორცნის თუ არა დედაქალაქის მიდამოებს, თბილისი ილვიძებს საყვირის ხმაზე. ათასობით ჩვენი მუშა, მარჯვენაზარაქიანი სტახანოველი, ინჟინერი, ტექნიკოსი ჩვეული გზით მიაშურებენ მშობლიურ ქარხანას. ამუშავდებიან დაზგები, მექანიზმები, პნევმატიკური უროები, უზარმაზარი ამწეები, აჟარჟარდება ღუმელებში ლითონი და დაიძვრიან ქარხნის ტერიტორიიდან გაჯანსაღებული ორთქლმავლები, ახალი, გაკრიალებული ვაგონები, ბრწყინვალე ელმავლები. კვლავ გაიღება მიმღები ალაყაფის კარი და კვლავ შემოუძღვება ნაცნობი ორთქლმავალი მწყობრიდან დროებით გამოსულ თავის თანამოძმეებს. ვეებერთელა ქარხანას შრომის ხალისი მოიცავს.

და ამ ინდუსტრიული შრომის ხალისიან ჰუგუნში, დიდი საწარმოს სუნთქვაში, საყვირის ხმაში მოისმის საბჭოთა პატრიოტების გულისხადილი:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

დ. ლომთაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხალხი პირნათლად იხდის ვალს წითელი არმიის წინაშე



თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის სტახანოველები, საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი ა. ზენდიაშვილი (მარჯვნივ) და ი. არტემოვი მუშაობენ დაზგის აწყობაზე.
ფოტო ვლ. გინზბურგისა

## შენთვის, საყვარელო სამშობლოვ!
### საქართველოს მრეწველობის მოწინავე ადამიანთა საპირველმაისო საჩუქრები ფრონტს, ჩვენს ქვეყანას

**თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის** კოლექტივმა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში აითვისა და ქვეყანას საჩუქრად მიუძღვნა ახალი სისტემის ინკუბატორი, ახალი კონსტრუქციის ტრანსპორტიორი და დაამთავრა ქარხანაში ახალმოსულ მუშათა ერთი ჯგუფის კვალიფიციურ მუშებად მომზადება.

აპრილში საუკეთესო მუშაობით თავი გამოიჩინა სახელოვანმა მჭედელმა ამხ. ვ. კორძაძემ, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 900-950 პროცენტით ასრულებდა. მეყალიბეთა შორის ქარხანაში პირველობა შეინარჩუნა ამხ. ი. მირზოევმა, ხოლო საამქროთა შორის ამხ. ვ. კაპატაძის საამქრომ, სადაც ზეინკლებს შორის ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ამხ. ე. ხიზანაშვილი, თ. დოლაბერიძე, ა. ილურიძე და რ. არუთინოვი.

აპრილის გეგმა ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათასი ცალი დეტალი და დაწყებულია აგრეთვე ახალი სისტემის ინკუბატორისა და ახალი კონსტრუქციის ტრანსპორტიორის სერიული გამოშვება.

**თბილისის საორთქლმავლო დეპოს** მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა გეგმის გადამეტებით აწევითი რემონტიდან გამოუშვეს ერთი ორთქლმავალი და გარეცხვითი რემონტიდან — 11 ორთქლმავალი.

დეპოს ბრიგადებს შორის საპირველმაისო ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა ამხ. დ. ჭავჭანიძის საკომპლექსო ფრონტული ბრიგადა, რომელმაც აპრილში 21 ორთქლმავლის ნაცვლად გარეცხვითი შეკეთებიდან გამოუშვა 35 ორთქლმავალი. ბრიგადაში ყველას გაუსწრო ზეინკალმა ნ. ყუროშიძემ. კარგად მუშაობდნენ ვ. კიკნაძე, მ. მირუაშვილი და ჯ. აზატოვი.

დეპოს საამქროებს შორის პირველი ადგილი კვლავ შეინარჩუნა ორდენოსან შ. ხიზანიშვილის საამქრომ, ხოლო საორთქლმავლო გუნდებს შორის დაწინაურდა დ. დუნდუას და ს. სიმონიძის საორთქლმავლო გუნდი, რომელმაც აპრილის ორ დეკადაში 2.200 კილოგრამი საწვავის ეკონომია მოგვცა. კარგად მუშაობდა აპრილში ნ. ჩიგოგიძისა და ს. შენგელიას საორთქლმავლო გუნდიც.

**წითელწყარო** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ტრესტ საქნავთის ბურღვის კანტორის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები. ბურღვის კანტორის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 256 პროცენტით შეასრულა, ხოლო აპრილის გეგმა 28 აპრილისათვის 183 პროცენტით.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა ბურღვის ოსტატი ს. ყოჩიევი, რომლის ბრიგადამ აპრილის გეგმა ვადაზე 11 დღით ადრე 200 პროცენტით შეასრულა. ორდენოსანმა მბურღავებმა დ. კაკალაძემ, შ. შაკაშვილმა და ოსტატმა ი. ჩიხლაძემ 120-130 პროცენტით გაანაღდეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება.

**ტყიბული** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). 28 აპრილიდან ტყიბულელი მეშახტეები დადგნენ საპირველმაისო ვახტზე. ამ დღეს სტალინის სახელობის შახტში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 9 პროცენტით. მარტო ერთ დღე-ღამეში სტალინელმა მეშახტეებმა გეგმის გადამეტებით ამოიღეს 70 ტონა ქვანახშირი.

ასეთივე საწარმოო მიღწევით ხვდება საპირველმაისო ვახტზე დადგომის პირველი დღე—28 აპრილი ლენინის სახელობის შახტშიც, სადაც პირველი დღე-ღამის განმავლობაში გეგმის გადამეტებით 50 ტონა ქვანახშირი ამოიღეს.

**ქუთაისი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). დიდი საწარმოო ხომალდობით ხვდებიან ქუთაისის საწარმოთა კოლექტივები 1 მაისის დღესასწაულს. ტყავფეხსაცმლის კომბინატმა (დირექტორი გ. დალაქიშვილი) 26 აპრილისათვის თვიური საწარმოო დავალება 101,3 პროცენტით შეასრულა.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდება დღესასწაულს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კოლექტივი. აპრილში დაწინაურდნენ ძაფსაღები საამქროს სტახანოველები ზ. შალამბერიძე და ე. ცარენკო.

საწარმოო გამარჯვებებით დაამთავრეს აპრილის საწარმოო გეგმის შესრულება ქუთაისის მაუდის ფაბრიკის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა.

**კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის** მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში აითვისეს ახალი სისტემის უნივერსალური დაზგის გამოშვება. უკვე გამოშვებულია ორი ასეთი დაზგა. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს მექანიკური საამქროს უფროსმა ინჟინერმა დ. გოგოლაძემ, ინჟინრებმა თ. მიასნიკოვმა, გ. იაგჯიანმა და სტახანოველებმა—ი. ფირცხალავამ, გ. სვანმა, შ. ბენდიაშვილმა და ორდენოსანმა ოსტატმა ბ. შუკიძემ.

აპრილის საწარმოო დავალება ქარხნის კოლექტივმა პირნათლად შეასრულა.

**თბილისის სპილენძსატკეცი ქარხნის** კოლექტივმა აპრილში ახალი საწარმოო მიღწევები მოიპოვა. თვიური საწარმოო დავალება ქარხნის კოლექტივმა 29 აპრილისათვის 129,8 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია.

საამქროებს შორის საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა გალვანოტექნიკური საამქრო, რომელმაც 29 აპრილისათვის თვიური საწარმოო დავალება 166 პროცენტით შეასრულა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა მგლინავმა ი. სემინიხმა.

**ალექსანდრე აბაშელი**

## მაისი

დაიყივლებს ცაში ოქროს მამალი,
ფარდას ასწევს შუქი უზენაესი
და შემოდის ყვავილების ამალით
ლაჟვარდიდან გადმოსული მაისი.

ცაში თითქო გუგუნებენ ზარები,
მზის ჩონგურის ანთებული ხმა ისმის.
საქართველოს მიდამოებს მგზავრივით
ჩამოივლის თვალუწუწუნა მაისი.

თერთმეტი თვე გზაში იყო, მოვიდა,
ვარსკვლავების სიშორიდან უვლია,
ჩვენს გარეშე ბინას სად იპოვიდა? —
ის ხომ ხალხთა ძმობის მოციქულია!

პირველ დღესვე წითლად შეიმოსება,
გამარჯვების ელვით ამობრწყინდება.
მოაქვს ქვეყნის უწმინდესი ოცნება
და დროშებზე აღბეჭდილი დიდება.

მოაქვს სითბო, რომ იხაროს ყანებმა,
მოაქვს სხივი, მარად დაუჟანგავი,
მოაქვს დიდის მხედართმთავრის ბრძანება
და ახალი გამარჯვების ამბავი.

30 აპრილი, 1944 წელი.

**ილო მოსაშვილი**

## მაისის დილა

აჰა, ინათა, აღარსად სჩრდილავს
მთას. ავდრიანი ღამის ზმანება.
მზესავით მოაქვს მაისის დილას
დიდი ბელადის დიდი ბრძანება.

მოაქვს და მიწ[illegible]იარალს ისხამს,
მახვილს მახვილი ეძახის ჟღერით, —
ვერა, ულმობელ საქვეყნო რისხვას
ვერსად წაუვა მოსისხლე მტერი!

ზღვას მიაშურა, — ზღვამ შეჰკრა პირი,
ხმელეთს მიაწყდა — დააკვდა ხმელეთს...
კვალდაკვალ მისდევს მამულის გმირი
და ძირში ჰკაფავს სისხლიან ხელებს.

შავი ჩაიცვან ნაძარცვი ფარჩა,
ფაშისტურ ბუნაგს მოედოს გლოვა,
მკვდრები იგლოვონ, ვინც ცოცხლად დარჩა —
მათი განკითხვის საათიც მოვა!

1 მაისი, 1944 წ.

## ვენერა ყუფუნიას ჩაის პლანტაციებში

**ზუგდიდი** („კომუნისტის" საკ. კორ.). გაზაფხულის მზის ცხოველმყოფელმა სითბომ ჯანი და ფერი შემატა ჩაის პლანტაციებს.

მწვანე ოქრო!

აქე ეძახის ჩაის მწვანე ფოთოლს ახალსოფლის ბერიას სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის მერგოლური, ლენინის ორდენოსანი ვენერა ყუფუნია.



ჩაის ფოთოლმა საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ყუფუნიას და ამიტომაც ეგზომ დიდად უყვარს იგი, თავს ევლება, გარჯასა და მკლავის ძალას არ იშურებს მის გასახარებლად. თავდადებით ილწვის, რომ წელს პირადად მოჰკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 10 ათასზე მეტი კილოგრამი პირველხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

დილიდან შეღამებამდე პლანტაციებში ტრიალებს ვენერა. მას გვერდით უდგანან მისი რგოლის წევრები და ჰკლავმოუღლელად შრომობენ სახელმოხვეჭილი მერგოლურის მეთაურობით. მათი პლანტაციები რომ ნახოთ, ალტაცებაში მოხვალთ. გადაბარვა და გაფხვიერება, გასხვლა და სასუქის შეტანა აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაცვით ჩაუტარებიათ. პლანტაციები საიმედოდ არის შემოკავებული, ჩაის ბუჩქები—თვალისჩინივით მოვლილი.

— წელს გამარჯვების მოსავალს მივიღებთ! — გულდაჯერებით გვეუბნება ლენინის ორდენოსანი ვენერა ყუფუნია. ამასვე იმეორებენ მისი რგოლის წევრები. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავიანთ 1,8 ჰექტარზე, შარშანდელი 19.700 კილოგრამის ნაცვლად, წელს მოჰკრიფონ 25 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

— წელს ციმბირელ კოლმეურნე, სტალინური პრემიის ლაურეატ ანა იუტკინას რგოლთან შეჯიბრებაში უნდა გავიმარჯვოთ! — ამბობს სახელოვანი მერგოლური და ამაში მას ერთპირად ეთანხმებიან თავისი ამხანაგები.

აყვავებულ ჩაის პლანტაციებში მალე გაჩაღდება მწვანე ოქროს კრეფა.

**ხუტა ბერულავა**

## ბათუმელ რკინიგზელთა საჩუქარი

**ბათუმი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ბათუმის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა ქვეყანას საპირველმაისო საჩუქრად მიუძღვნა აპრილში გეგმის გადამეტებით გამოშვებული სამი ორთქლმავალი და 22 რეკონსტრუირებული ნადავლი ვაგონი.

საორთქლმავლო გუნდებს შორის აქ დაწინაურდა ამხ. დარჩიას და თევზაძის გუნდი, რომელმაც აპრილის 25 დღის განმავლობაში ქვეყანას დაუზოგა სამი ტონა საწვავი მასალა.



მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ობჩის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს სტახანოველი კოლმეურნე ბაბიკო აბულაძე, მუშაობს თუთის პლანტაციაში.
ფოტო რ. აკოფოვისა

## შენთვის, საყვარელო სამშობლოვ!
### საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა საპირველმაისო საჩუქრები ფრონტს, ჩვენს ქვეყანას

**მახარაძე** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით გაანაღდეს საპირველმაისო შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ც. ქუტიძის, შ. ტუღუშის, ი. ცერცვაძის და ა. კვირკველიას საკოლმეურნეო ბრიგადებმა თესვის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ი. ხურციძის, ლ. ქინქლაძის, ს. კონტრიძის ბრიგადებმა საგაზაფხულო თესვის გეგმები ვადაზე ხუთ-ხუთი დღით ადრე შეასრულეს. ი. ხურციძის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით აითვისა 4,5 ჰექტარი ყამირი.

ლაითურის კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები წარმატებით შეასრულა. საპირველმაისო ვალდებულებანი გაანაღდეს აგრეთვე ურეკის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობაში.

სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების მხრივ მოწინავეთა რიგებში არიან სოფელ მთისპირის, ნაღობილევის, გურიანთის, შუა დვაბზუს, ვაკიჯვრის კოლმეურნეობები.

**ლ. ლოლაძე**

**გორი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოფელ ქვეშის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით დასთესა 7 ჰექტარი მარცვლეული და დაწესებულ ვადაზე 12 დღით ადრე დაამთავრა შაქრის ჭარხლის თესვა. სწორედ ასეთი ვალდებულება იკისრა კოლმეურნეობამ საპირველმაისო შეჯიბრებაში ჩაბმისას. კ. რჩეულიშვილის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 3 ჰექტარი მარცვლეული დასთესა. სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობის პირველმა ბრიგადამ (ბრიგადირი ს. ყაზარაშვილი) ვადაზე ხუთი დღით ადრე დაამთავრა თესვა.

გორის მტს-ის გასიტაშვილის, გ. აბრამიძის, ყ. ხარიბეგაშვილის სატრაქტორო ბრიგადებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საპირველმაისო ვალდებულებები.

**შ. ჩუბინიძე**

**თელავი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოფელ ზემო-ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ საპირველმაისოდ აღებული ვალდებულება უკვე შეასრულა: საგაზაფხულო კულტურები დასთესა დაწესებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად; სახელმწიფო გეგმის გადამეტებით 15 ჰექტარი სიმინდი დასთესა. სოფელ ლაფანყურის კოლმეურნეობა „შრომის დროშამ" აითვისა 20 ჰექტარი ყამირი მიწა.

სოფელ ფშაველის XVIII პარტიული ყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. ბაბუევი) ვადაზე 15 დღით ადრე დაამთავრა თესვა. ამ კოლმეურნეობის წევრი, გუთნისდედა ს. ყორღანოვი ხვნის დღიურ ნორმას 140 პროცენტით ასრულებდა.

რაიონის კოლმეურნეობები პირველ მაისს ხვდებიან ახალი წარმატებებით, მთლიანად დაამთავრეს გერანის დარგვა, მზესუმზირა გეგმის გადამეტებით დათესილია 23 ჰექტარი, კარტოფილი კი — 20 ჰექტარი.

სოფელ ზემო-ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ 3.878 დადოლებული დედაცხვრისაგან 4.452 ბატკანი მიიღო. ნამატი მთლიანად არის შენარჩუნებული, რაც კოლმეურნეებს სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთ პირობად ჰქონდათ გათვალისწინებული.

**ს. ქოჩლაძე**

**სიღნაღი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). სოფელ ქვემო მაჩხაანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ მოწოდებით მიმართა რაიონის კოლმეურნეებს გაეშალათ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. ქვემო მაჩხაანელმა კოლმეურნეებმა იკისრეს: თამბაქო დაერგოთ 14 ჰექტარზე, ვადაზე ადრე დაემთავრებინათ სიმინდისა და მზესუმზირის თესვა, საანეულოდ მოეხნათ 45 ჰექტარი. კოლმეურნეობამ საპირველმაისო ვალდებულებანი შეასრულა. წნორის მტს-ის ტრაქტორისტმა შ. ნაცვლიშვილმა მოხნა 400 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარისა, და დაზოგა 500 კილოგრამი საწვავი მასალა. ვალდებულებით კომბაინის რემონტი მას უნდა დაემთავრებინა 1 მაისისათვის, ფაქტიურად დაამთავრა 25 აპრილს.

საპირველმაისო შეჯიბრების გაჩაღების შედეგად ხლაზნის მტს-მა საგაზაფხულო ხვნათესვა ჩაატარა 2.750 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.000 ჰექტარისა, საანეულოდ მოხნა 600 ჰექტარი. დიდი გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ტრაქტორისტმა ე. ნატროშვილმა.

**ი. სიმონიშვილი**

**გურჯაანი** („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის" წევრებმა 526 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დასთესეს და ამით ვალდებულება გაანაღდეს. სოფელ ურიათუბნის კოლმეურნეობა „წითელმა უბანმა" ვადაზე 16 დღით ადრე დაამთავრა თესვა. თესვის დარგში ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს გ. სოლომნიშვილისა და გ. გოგიევის საკოლმეურნეო ბრიგადებმა.

სოფელ იორმუღანლოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეხუთე ბრიგადამ თესვა ვადაზე ადრე და ხარისხოვნად დაამთავრა.

ტრაქტორისტმა ლ. შაქარაშვილმა მოხნა 114 ჰექტარი და შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა. ხვნის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ს. გოგაშვილმა და ა. მამაცაშვილმა.

**ი. თევდორაშვილი**

**ირაკლი აბაშიძე**

## ჭაქვინჯი

ზუგდიდის მთავარ ქუჩაზე შევხვდი ოცდაათიოდე წლის ვაჟკაცს. იგი საქალაქოდ იყო გამოწყობილი, ახალი მაზარა და ჩექმები ეცვა. ჭადრებსა და ნაძვის ხეებში ჩამავალ მზეს თავისი ფართო ბეჭებით ჰფარავდა და ისე განიერად მიდიოდა, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგექციათ.

ვინაობა ვკითხე, ამ დილით ჩამოსულიყო სოფელ ჭაქვინჯიდან და საღამოთი თბილისს მიემგზავრებოდა ლენინის ორდენის მისაღებად, რითაც იგი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამა წლის შვიდი იანვრის ბრძანებულებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სხვა მოწინავეებთან ერთად.

ეს იყო ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის კ. ნ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსანდრე ჯიქია.

იმოდენა ხელი ჩამომართვა, მეგონა მოკრივის ხელთათმანი ეცვა. ამაზე მან თითქოს რაღაც უხერხულობა იგრძნო, სახეზე გულუბრყვილო ღიმილი გადაეკრა და აი ამ გოლიათის ბაგეთაგან გრუხუნს რომ მოველოდი, გაისმა წვრილი, მეგრულად შერბილებული თავაზიანი ქართული:

— კარგი იყო ცოტა ადრე ჩამობრძანებულიყავით, კოლმეურნეობაში დაგხვდებოდით.

ალექსანდრე სადგურისაკენ მიეჩქარებოდა.

სულ ეს იყო ჩვენი შეხვედრა; გადავწყვიტე მენახა ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა და მეორე დილით სოფელ ჭაქვინჯისაკენ გავწიე.

ოდიშის მთების გზაწვრილებში ქანქანით ავყავდით მამანტი პაჭკორიას „გაზს".

ოცნებას ჰგავს სამეგრელო აპრილში.

თეთრი ტყემლებით გადათოვლილი გორაკები. მწვანე ფერდობები. გზის მარჯვნივ და მარცხნივ მრავალფერი ტყის ყვავილები და ყვითელი ეელი, რომლის სურნელებაც ფუტკარს კი არა, ადამიანსაც იზიდავს ანდამატივით. მთის გზაწვრილები ისეა დახვეულ-დაბურდული, ზოგჯერ გეგონებათ, უკან ვბრუნდებით, მოულოდნელად კი მთის კორტოხზე ამოჰყოფთ თავს და მაშინ თქვენს თვალწინ აღიმართება აქეთ რუხის ციხე, იქეთ ობუჯი ან სატანჯიო.

სოფელი ჭაქვინჯი ჭენისწყლის ხეობაში მდებარეობს. კოლმეურნეობის თვალუწვდენ ფართობებს ძველებურის ერთგულებით სდარაჯობს მოხუცი ჯიხასკარის ციხე.

როცა მანქანიდან გადმოვხტით, თითქოს ამ არე-მარეს ფარდა ახადესო, გამოჩნდა ჭენისწყლის ხეობის თვალწარმტაცი ბუნება; იგი ნამდვილად ჰგავდა საოპერო სპექტაკლის გაფორმებას. ამას მოულოდნელად ზედ დაემატა უტკბილესი მეგრული სიმღერა „დიდოვ-ნანა", ხმაშეწყობილი, გულის სიღრმეში ჩამწვდომი.

კოლმეურნეობის საშუალო სკოლაში პატარა მოწაფეებს გალობის გაკვეთილი ჰქონდათ.

აი, სამამულო ომის დროის ჩვენი კოლმეურნეობა: პატარა გულჩიორები ტკბილად გალობენ, მოხუცები და ქალები მინდვრებზე გამალებით მუშაობენ, ხოლო ვაჟკაცები სამამულო ომის ველებზე იბრძვიან, ზოგი ყირიმში, ზოგი თასავლეთის ფრონტზე ან ბალტიისპირეთში.

ასსამოცი ვაჟკაცი გაგზავნა კოლმეურნეობამ სამამულო ომის ველზე. გულისფანცქალით ადევნებენ თვალს მათს ბრძოლას შინ დარჩენილნი. მებრძოლთაგან ბევრმა ისახელა თავი. გმირულად დაეცა სამშობლოსათვის ბრძოლაში კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე პარმენ ბასილაია. მისი სისხლი მისმა ძმამ შოთა ბასილაიამ აიღო: იგი ლენინის ქალაქისათვის ბრძოლის გმირული მონაწილეა. ნაწილის უფროსი მადლობას უთვლის შოთას მამას, „თქვენმა შვილმა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის დროს თავი გამოიჩინაო", და ულოცავს შოთას დაჯილდოებას სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით. 80 წლის მოხუცმა შვილსა და მეთაურს გამარჯვების გამო დიდი სიხარული შეუთვალა და თავისი ამბავიც აცნობა: ჩემს გეგმას მეც ორასი პროცენტით ვასრულებო. ვინ იცის ვის უფრო ამხნევებდა ამ წერილით მოხუცი კოლმეურნე—შვილს თუ თავის თავს.

მოხუცი პართენ ჯიქია მევენახეთა რგოლის ხელმძღვანელია. ამ რგოლს მანამდე მისი შვილი ვანო ხელმძღვანელობდა. ვანო ახლა ომშია. და პართენი ისე უვლის ვენახს, როგორც შვილს. ვენახიც ახალგაზრდაა, ომამდე მოსავალი არ ჰქონია. შარშან ჰექტარზე 50 ცენტნერი აიღეს. ვანო რომ ჩამოვა, ვაზი სრულმოსავლიანი დახვდება.

ორი ძმა ჰყავს სამამულო ომის ფრონტზე მესამე ბრიგადის ხელმძღვანელს დავით ხუნჯუას, ერთი ექიმია, მეორე მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგე იყო ზუგდიდის პედინსტიტუტში. ძმებით ამაყობს დავით ხუნჯუა, მაგრამ თავის საქმეში დავითიც არ ჩამორჩება ძმებს. მისი ბრიგადა მოწინავეა ჭაქვინჯის კოლმეურნეობაში, დავალებებს ყოველთვის ერთიორად ასრულებს.

მურგია ხუბულავასაგან დიდხანს არაფერი ისმოდა. კოლმეურნეებს დაღუპული ეგონათ. მაგრამ ახლახან წერილი მიიღეს—პარტიზანად ვიყავი ბელორუსიაშიო, გერმანელებისაგან ვწმენდით აქაურობას, საბოლოოდ გავანადგურებთ მათ, ომს დავამთავრებთ და მალე ჩამოვალო. პატარა მეგრული ოდა უდგას მურგიას შუაგულ სოფელში. ოდის კარები ელიან პატრონის გამარჯვებით დაბრუნებას.

ჭაქვინჯი პატარა სოფელია, მაგრამ მას თავისი გმირული ისტორია აქვს. იგი 1905 წლის რევოლუციის ერთერთი ბუდე იყო სამეგრელოში. ალიხანოვმა შეუბრალებლად გადასწვა მაშინ ეს ბუდე. მას შემდეგ ნელ-ნელა ისევ აშენდა, საბჭოთა ხელისუფლების წლებში განმტკიცდა და აი დღეს ამ ბუდიდან აფრენილი შევარდნები მტერს რისხვად ევლინებიან.

დღესასწაულია ფრონტიდან წერილის მიღება ან რომელიმე მებრძოლის ამბის გაგება. მებრძოლთა ოჯახებს ასორმოცდაათი ათასი მანეთით დაეხმარნენ. ბევრს ოდა შეუკეთეს, ხოლო ხუთ ოჯახს ახალი სახლი აუგეს. გამარჯვებულნი დაბრუნდებიან ომიდან და არჩილ გიგიბერია, სერაპიონ ჯიქია, იროდი ჯიქია, კონდრა ხვიჩია, შალვა ნარსია ზეიმით შევლენ ახალ სახლებში, ნახავენ თავის ოჯახებს და ნახავენ იმასაც, თუ როგორ ზრუნავდა მათზე მშობლიური კოლმეურნეობა.

ფრონტიდან წერილები მოიწერეს იროდი ჯიქიამ და შალვა ნარსიამ. დიდ მადლობას უთვლიდნენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს და ყველა იმათ, ვინც თითო ფიცარი მიიტანა მათი ოდების ასაგებად. პირობას იძლეოდნენ, გმირულად ვიბრძოლებთ და სახელმოხვეჭილი შევალთ ახალ სახლებშიო.

შარშან კოლმეურნეობამ ორ მილიონამდე მანეთი გადასცა თავდაცვის ფონდს. პირადად ალექსანდრე ჯიქიამ ასი ათასი მანეთი შეიტანა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის და დიდი ბელადის მადლობა მიიღო.

აქეთ-იქით ლამაზად ჩამწკრივებულა ციტრუსები და ვენახი. ტუნგოს ხეები ჯერ კიდევ სავსებით შეფოთლილი არ არიან და მთის ფერდობებზე ისე სჩანან, გეგონებათ ირმის რქებია კედელზე მიჭედილიო. ჩაის ბუჩქები კი მიწაზე ისე გაფოფრილან, თითქოს ჰაერში ქორი გამოჩენილა და წიწილებს გადაფარებიანო. ზოგან ძველი პლანტაციები ხავერდივით გაშლილან. ჩაი უკვე მალე საკრეფი იქნება და კოლმეურნეობა სეზონისათვის ემზადება.

კოლმეურნეობის ნაკვეთები სამ ზონად იყოფა: პირველ ზონაში, წყლის პირას ან, როგორც მეგრულად იტყვიან, „დობერებში" სიმინდი ითესება, უფრო ზემოთ, მეორე ზონაში ვენახი და დაფნაა გაშენებული, ხოლო სულ ზემოთ მესამე ზონაში — სუბტროპიკული კულტურები: ჩაი, ტუნგო, მანდარინი. ყველაზე მეტი ფართობი ჩაის კულტურას უჭირავს, შემდეგ სიმინდს, ხოლო შემდეგ ტუნგოსა და სხვა კულტურებს.

წელს დასავლეთ საქართველოში გაზაფხული წვიმიანი დაიჭირა და ზუგდიდის რაიონში საგაზაფხულო ხვნათესვა ცოტა მოგვიანებით დაიწყეს. მიუხედავად ამისა, რაიონის კოლმეურნეთა მტკიცე გადაწყვეტილებაა თესვა დროზე დაამთავრონ. მინდვრებში გაცხოველებული მუშაობაა. კ. ნ. ჩარკვიანის სახელობის ჭაქვინჯის კოლმეურნეობას უვაჟკაცობა არ დატყობია.

მართლაც საოცარია ჩვენი კოლმეურნეების შრომითი გმირობა.

ომამდე კოლმეურნეობა იღებდა 255 ტონა ჩაის ფოთოლს. შარშან თითქმის სამას ტონამდე აიყვანეს მოსავალი. ასევე გაიზარდა სიმინდისა და ციტრუსების დოვლათიც. ჩაის საერთო მოსავლიანობის გეგმა ომამდე ჰექტარზე საშუალოდ 2.000 კილოგრამი იყო, შარშან 3.000 კილოგრამამდე ავიდა სრულმოსავლიან ჰექტარზე.

ეს შედეგები კოლმეურნეობამ მიიღო ფართობების კარგი მოვლით, აგროწესების დაცვით, სასუქის შეტანით, დამუშავებით და კრეფის სწორი ორგანიზაციით. კოლმეურნეობების ფართობებს ახალი „შხუნები" (გატეხილი ყამირი) ემატება.

გაიზარდა კოლმეურნის შემოსავალი ერთიორად და მეტადაც.

სამი წელია კ. ნ. ჩარკვიანის სახელობის ჭაქვინჯის კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან, სადაც მუშაობს ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მეჩაიე მერგოლური ვენერა ყუფუნია.

ამ კოლმეურნეობის შესახებ გაზეთი „პრავდა" თავის 8 იანვრის მოწინავეში „სამშობლოს ჯილდო" სწერდა: „საქართველოს კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა, ისევე როგორც მთელი ჩვენი კოლმეურნე გლეხობის პატრიოტიზმი საშუალებას აძლევს სოფლის მეურნეობას გადალახოს ომიანობის დროის აუცილებელი სიძნელეები. აი, მაგალითად, ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა. ომამდელ წლებთან შედარებით აქ მუშახელის რაოდენობამ იკლო, კოლმეურნეობის საუკეთესო ადამიანები ფრონტზე წავიდნენ სამშობლოს დასაცავად. მაგრამ, კოლმეურნეთა და კოლმეურნე ქალთა შეცადინეობის მეოხებით, კოლმეურნეობა დასუსტებული როდი აღმოჩნდა". მართლაც ამ კოლმეურნეობის შემოსავალი შარშან ხუთ მილიონ მანეთს შეადგენდა. იოლი საქმე როდია ამ უძლიერეს კოლმეურნეობასთან შეჯიბრება. შარშან ჩაის მოსავლის რაოდენობით ჭაქვინჯის კოლმეურნეობა დაწინაურდა, ახალსოფლის კოლმეურნეობა—ხარისხით.

ჭაქვინჯის კოლმეურნეობის მიწისაგან მაღალი ხარისხის კრამიტი და აგური გამოდის. ეს ახალ-ახალი მშენებლობის წამოწყების საშუალებას იძლევა. კოლმეურნეობა წელს ოცთვალიან შენობას აგებს. მომავლისათვის გეგმაშია სკოლის ახალი შენობის აგება. წელს გამოჰყავთ ელექტრობა, შენდება ელექტროწისქვილი და ხერხის ქარხანა.

როცა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორია დაიწერება, შიგ ჩვენი ზურგის ლეგენდარულ მებრძოლებს მართლაც საპატიო ადგილი დაეთმობა. პარტია, ხელისუფლება, დიდი სტალინი მაღალ შეფასებას აძლევენ მათს შრომას. ქართველ კოლმეურნეებს შეუძლიათ იამაყონ იმით, რომ ფრონტზე გაცხარებული შეტევისა და ბრძოლების დროს ჩვენი სოფლის მოწინავენი ორდენებით იქნენ დაჯილდოებულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ.

მათ შორის არიან კ. ნ. ჩარკვიანის სახელობის ჭაქვინჯის კოლმეურნეობის კოლმეურნენი. ისინი ყველაფერს აკეთებენ გერმანელ დამპყრობთა განადგურებისათვის.

სამეგრელოს ცხოველმყოფელი მზის ქვეშ დაუღალავად მუშაობენ მინდვრებში. საგაზაფხულო ხვნა-თესვა გაჩაღებულია.

„ხაჩ-ქეშ, ხაჩ-ქეშ", ოისე-კაფე, თესე-კაფე — ღაკინებით იძახის ხიდან გუგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კურორტი ტებერდა. ცემენტის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის სანატორიუმის პირველი კორპუსი
ფოტო რ. აკოფოვისა



კლუხორის რაიონი. სოფ. ახალშენი. კოლმეურნე ვერა ლობჟანიძე თავისი ბავშვებით თამარით და ალბერტით საკუთარ ეზოში.



ქ. გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მარიამ ხუციშვილი უჩვენებს მნახველებს სამამულო ომის გმირების კუთხეს.



ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვედა საქარის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის დეკორატიულ ბაღში.
ფოტო რ. აკოფოვისა

პატარა ფელეტონი

## პანიკა ავაზაკთა ბუნაგში

ფაშისტი ხელმძღვანელები საშინლად შეშფოთებული არიან.

მათ დიდი და მცირე პრობლემები აწუხებთ. დიდი პრობლემა არის: პასუხისმგებლობა ხალხთა სამსჯავროს წინაშე. მცირე პრობლემა—სად გადამალონ ნაქურდალი.

ამას წინათ უნგრეთის რადიომ გვაუწყა პირველი საკითხის შესახებ. ბუდაპეშტში გადაქექეს სისხლის სამართლის კოდექსი და ეთერში გამოაცხადეს:

ყველა ცივილიზებული ქვეყნის კანონთა კოდექსი სხვადასხვანაირად განიხილავს დამნაშავეს, თუ ბრალდებული თავისი გადაწყვეტილების მიღებისას განიცდიდა იმ ძალის გავლენას, რომელიც მის უფლებაში არ იყო. მხოლოდ სამართლიანობა იქნებოდა, თუ ამ პრინციპს დაიცავდნენ საერთაშორისო პოლიტიკაში...

როგორ ზედმიწევნით ესმის ჰორტის მთავრობას საერთაშორისო პოლიტიკა! მათ სისხლის სამართლის ზოგიერთი თავიც კი შეისწავლეს, მაგალითად,—„ძარცვაში თანამონაწილეობის შესახებ". ისინი უკვე გადიან ბრალდებულის საბოლოო სიტყვის რეპეტიციას.

ერთი მხრით, მეორე მხრით...

ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, რომ ფაშისტები გაფაციცებით ეზიდებიან ნაძარცვ ქონებას ნეიტრალურ ქვეყნებში. განსაკუთრებით გაძლიერდა ზიდვა შვეციაში. იქ მიაქვთ ძვირფასი ნივთები, ვალუტა, ფუფუნებისა და ხელოვნების საგნები, ავტომობილები, ქურქები. შვეციაში მიაქვთ მთელი საწარმოები და ქარხნები. თითქოს ძნელი უნდა იყოს მთელი ქარხნის გადამალვა. მაგრამ აი გერმანიის სამმა უდიდესმა კონცერნმა: „ტელეფუნკენმა", „სიმენსმა" და „აეგ"-მა გადაიტანეს თავიანთი საწარმოები შვეციის ტერიტორიაზე.

ვინ არიან მფლობელები?

ერთერთი ფაშისტი მეთაური გერმან გერინგი, ამავე დროს არის უდიდესი მეტალურგიული ტრესტის „გერმან გერინგის" დირექტორი. ის კაცი, რომელსაც ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე გროშიც კი არ გააჩნდა, ამჟამად კაპიტალის — 250 მილიონი მარკის მფლობელია.

მაგრამ ჩანს, რომ ადოლფ ჰიტლერის უახლოეს დამქაშებს არასოდეს არ სწამდათ მისი ბატონობის სიმტკიცე: გერინგმა ამჯობინა ჯერ კიდევ ომის პირველ წელს გადაეტანა მილიონიანი კაპიტალის ძირითადი ნაწილი... ბრაზილიაში.

ნეიტრალური ქვეყნების ბანკებში მოათავსეს თავიანთი ნაძარცვი ქონების ნაწილი გებელსმაც, ჰიმლერმაც და დოქტორ ლეიმაც. თითოეული მათგანის ნაძარცვი ქონება მილიონობით დოლარს უდრის. თანხა შეტანილია, რა თქმა უნდა, სხვების სახელით.

ყოველგვარი გამაფრთხილებელი ზომებია მიღებული. და მაინც...

ანტიჰიტლერულ კოალიციაში შემავალმა ქვეყნებმა თავის დროზე გაფრთხილება მისცეს ნეიტრალურ ქვეყნებს: არავითარი ფინანსიური და სავაჭრო ხელშეკრულება, დადებული ჰიტლერელთა მიერ უკანონოდ შეძენილი სიმდიდრის გადამალვის მიზნით, არ იქნება მიჩნეული, როგორც ნამდვილი.

და აი ახლა, ფაშისტი მძარცველებისა და ყაჩაღების ხროვაში, რომელთაც სისხლით მორწყეს მსოფლიო, ფერფლად აქციეს უმშვენიერესი ქალაქები, ააოხრეს მთელი ქვეყნები თავიანთი გამდიდრებისათვის, პანიკა მეფობს.

ერთი მხრით მიათრევენ ნაქურდალს და მალავენ ნაძარცვს.

მეორე მხრით, გამოძებნეს რა არალეგალური ადვოკატები და სისხლის სამართლის საქმეთა ცრუ სპეციალისტები, ხრინწიანი ხმით რეპეტიციას გადიან:

...მოქალაქე მოსამართლენო, ყველა ქვეყნის კოდექსებში არის შესანიშნავი და მეტად სამართლიანი განსხვავება ავაზაკურ თავდასხმებში მთავარ და არამთავარ დამნაშავეთა შორის!

პანიკა მეფობს ავაზაკთა ბუნაგში.

რ. კანდელაკი

## განთავისუფლებულ ოდესაში

ოდესაში თავიანთი თარეშის განმავლობაში გერმანელმა და რუმინელმა დამპყრობლებმა კოლოსალური ზიანი მიაყენეს ქალაქის მეურნეობას. დანგრეულია ათობით უდიდესი შენობა, ელექტროქსელი, წყალსადენი. განთავისუფლების პირველი დღეებიდანვე ოდესის მოსახლეობა აქტიურად შეუდგა ქალაქის მოყვანას წესრიგში. ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქუჩების, ბაღების, პარკებისა და ეზოების დასაწმენდად. მოკლე ვადაში მოხერხდა 4 საავადმყოფოს, 13 პოლიკლინიკის გახსნა, მეცადინეობა დაიწყო ბევრმა სკოლამ, მუშაობენ სატელეფონო სადგურის პირველი რიგი, საფოსტო განყოფილებანი.

კინოთეატრებში საბჭოთა ახალ ფილმებს უჩვენებენ. ქალაქის ოპერისა და ბალეტის თეატრში დასადგმელად მზადდება პირველი წარმოდგენა. (საქდესი).

## ბაგები კოლმეურნეთა ბავშვებისათვის

რსფსრ რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეობათა ბაგები და ბავშვთა მოედნები ზაფხულში მომსახურებას გაუწევენ 2.200 ათას ბავშვს.

ტულის ოლქში წესრიგში მოჰყავთ 4 ათასზე მეტი საბავშვო დაწესებულება. არემონტებენ სადგომებს, იდება ხელშეკრულებანი კოლმეურნეობებთან კვების პროდუქტების მისაწოდებლად. ბაგების 300 ახალმა გამგემ სწავლა დაამთავრა მოკლევადიან კურსებზე.

ალტაის მხარეში გადაწყვეტილია გაიხსნას ბაგები 75.150 ბავშვისათვის. კურსებზე სწავლობს 800-ზე მეტი აღმზრდელი და 500 გამგე.

ჩიტის ოლქში გახსნილია 13 საკოლმეურნეობათაშორისო საბავშვო სანატორიუმი. სახსრებს ამ სანატორიუმებისათვის იძლევიან სასოფლო-სამეურნეო არტელების გამგეობანი. გარდა სეზონური ბაგებისა, ოლქში მთელი წლის განმავლობაში იმუშავებენ 19 ათასი ბავშვისათვის ნავარაუდევი ბაგები. (საქდესი).

# არმია და ხალხი

პირველი მაისი მთელი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაულია. ომამდე თავისუფლებისმოყვარე ქვეყნების მშრომელნი ამ დღეს დემონსტრაციებზე გამოდიოდნენ.

მათ დროშებზე წარწერილი ჰქონდათ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ლოზუნგები.

ჩვენს ქვეყანაში პირველი მაისის დღესასწაულს განსაკუთრებული თვისება ჰქონდა. ხალხთან ერთად არმიაც გამოდიოდა. წითელ მოედანზე მწყობრი, რკინისებური რიგებით ჩაივლიდნენ ხოლმე შესანიშნავად შეიარაღებული ნაწილები. გაივლიდა არტილერია, მიდიოდნენ მძიმე ტანკები, ჩაიქროლებდა წითელი კავალერია, ზუსტი და მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა ქვეითი ჯარი. ჰაერში მიმოჰქროდნენ ავიაგამანადგურებლები, ბომბდამშენთა ესკადრილიები. ერთი წუთის შესვენების შემდეგ მოედანზე მძლავრ ნაკადებად მოაბიჯებდნენ მშრომელთა კოლონები.

საყოველთაო სიხარულის რა შესანიშნავი სანახაობა იყო ეს! ეს იყო დიადი ხალხის ძალთა დათვალიერება. ეს იყო მშვიდობიანობისაკენ საყოველთაო-სახალხო მისწრაფების დემონსტრაცია, მაგრამ აგრეთვე სამშობლოს დასაცავად საყოველთაო-სახალხო მზადყოფნის დემონსტრაციაც.

ასე აღნიშნავდნენ პირველ მაისს მთელ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. და ყველგან არმია ხალხთან ერთად იყო. ყველგან, სოფლებსა და ქალაქებში, ხდებოდა ხალხთა მეგობრობის, მკერდით სამშობლოს დასაცავად მზადყოფნის დემონსტრაცია.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ხალხი აღფრთოვანებული ოვაციებით ეგებებოდა ტრიბუნაზე ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოჩენას, მხურვალედ მიესალმებოდა მშობლიურ წითელ არმიას.

და მხოლოდ რამდენიმე ადამიანი დუმილით უცქეროდა პარადსა და დემონსტრაციას. ისინი უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებს შორის იყვნენ. გერმანიისა და იტალიის, რუმინეთისა და ფინეთის, უნგრეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამხედრო ატაშეები, მოღუშულნი, ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს წითელი არმიის მიმავალ ნაწილებს. მაგრამ მათ ნაკლებ აინტერესებდათ მშრომელთა კოლონები, რომლებიც წითელ მოედანზე მიდიოდნენ. ისინი თითქოს ვერ ამჩნევდნენ მათ.

გერმანელ ფაშისტთა პრესა და მისი ამყოლნი ამჟამად, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მესამე წელს, წუწუნებენ: ჩვენ ვერ შევაფასეთ წითელი არმიის ძალები, ბოლომდე ვერ გავითვალისწინეთ საბჭოთა კავშირის რეზერვები. ზოგიერთი ჰიტლერელი თავიანთ შეცდომას ბოლშევიკურ „ეშმაკობას" მიაწერს. თითქოს ბოლშევიკებმა დაუმალეს მთელ მსოფლიოს ათობით მილიონი ადამიანი, არ აჩვენეს მთელი თავისი სამხედრო ტექნიკა, ურალში გადამალეს თავიანთი ახალი მძლავრი ქარხნები...

ეს ფაშიზმის გაკოტრებული სტრატეგებისა და პოლიტიკოსების სულელური სიცრუეა. საბჭოთა კავშირი ფართოდ აჩვენებდა მსოფლიოს თავის მიღწევებს. მაგრამ, ესწრებოდნენ რა საპირველმაისო დემონსტრაციებს, ფაშისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ვერაფერი ვერ გაიგეს. მათამდე ვერ მიაღწია ჩვენი საპირველმაისო დღესასწაულების, როგორც მშრომელთა საბრძოლო ძალების დათვალიერების, როგორც სსრ კავშირის ყველა ხალხთა განუყოფელი ერთიანობის, არმიისა და ხალხის ერთიანობის დემონსტრაციის, აზრმა. მათ ვერ იგრძნეს, რა ერთიანი სუნთქვით ცოცხლობს ჩვენი ქვეყანა კიდით-კიდემდე, რა თანაბრად სცემს მისი გული, რა ძლიერ[ი]ა მისი სისხლის პულსაცია, რომელიც მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს ძალასა და სიმტკიცეს.

საბჭოთა კავშირისადმი გააფთრებული სიძულვილი აბრმავებდა ფაშისტებს. ისინი მხოლოდ ერთ რამეს ხედავდნენ: სსრ კავშირი ხდება დემოკრატიის დასაყრდენი და ამიტომ იგი საშიშია გერმანელთა ავაზაკური ზრახვებისათვის. მათ იცოდნენ, რომ მოსკოვი აზრისა და თავისუფლების, მეცნიერებისა და კულტურის ჩირაღდანია. და მათ მიზნად დაისახეს ამ ჩირაღდნის ჩაქრობა.

როცა ფაშისტთა ავაზაკური ურდო თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, ჰიტლერს სურდა რაც შეიძლება ჩქარა შემოჭრილიყო მოსკოვში. მაგრამ მან ვერ შესძლო ჩვენი დედაქალაქის ხელში ჩაგდება 1941 წელს. ვერ მიაღწიეს რა წარმატებას პირდაპირი დარტყმით, გერმანელებმა 1942 წელს შემოვლითი მოძრაობა დაიწყეს, შეეცადნენ ზურგიდან შემოევლოთ და მოსკოვი მოეწყვიტათ მთელი ჩვენი ქვეყნისაგან. ჰიტლერელებმა მოახერხეს დროებით ჩაეგდოთ ხელში უკრაინა, დაეკავებინათ ბელორუსია და ყირიმი, ზედ მიდგომოდნენ ლენინგრადს და ჰყოლოდათ იგი ბლოკადაში. მათ მოახდინეს საბჭოთა ბალტიისპირეთის ოკუპაცია. მაგრამ ჰიტლერმაც და მისმა გენერლებმაც იცოდნენ, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო გამარჯვება. რომ მათს ურდოებს შეეძლოთ თვით ვოლგამდე მისულიყვნენ, მაგრამ საბჭოთა ქვეყანა არ დაემორჩილებოდა დამპყრობთ. გერმანელებმა იცოდნენ, რომ ვიდრე დგას მოსკოვი, ისინი ვერ გაიმარჯვებდნენ. მაგრამ მოსკოვი მიუვალი იყო და მოუწოდებდა ხალხებს ბრძოლისაკენ. საბჭოთა დედაქალაქის ჩირაღდანი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ჰიტლერელთა მიერ მოწყობილ ხანძართა ყველა ცეცხლი. სწორედ მოსკოვთან განიცადა ფაშისტურმა არმიამ პირველი, მაგრამ საბედისწერო დარტყმა, რომელმაც დაამსხვრია ჰიტლერის ძირითადი სტრატეგიული გეგმა. აქ იქნა დასამარებული გერმანელთა ბლიც-კრიგი და მითი გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. გერმანელები ამის შემდეგაც წინ მოძვრებოდნენ, მაგრამ დამარცხების ჩანასახი უკვე იმალებოდა მათს წარმატებებში. ეს ჩანასახი ვითარდებოდა. სტალინგრადი აღმოჩნდა გერმანიის არმიის მზის ჩასვენების წინამორბედი. მას შემდეგ დამარცხება ამ არმიის მუდმივი თანამგზავრი გახდა.

1942 წელს მთელ ჩვენს ქვეყანას, მთელს მსოფლიოს მოეფინა ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების ამაღლვებელი სიტყვები. საბჭოთა ხალხის ბელადი მოუწოდებდა წითელი არმიის მებრძოლებსა და მეთაურებს სრულყოფილად დაეუფლებოდნენ თავიანთ იარაღს, რათა აუცდენლად ეტყათ მტრისათვის და განედევნათ ოკუპანტები ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან. ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ეს და კიდევაც უნდა გავაკეთოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს".

არ იყო საპირველმაისო პარადი წითელ მოედანზე, არ იყო მშრომელთა საზეიმო კოლონები. ჩვენი ქვეყნის ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე,—ყველგან საბჭოთა ხალხი ამ დღეს განსაკუთრებული აღმავლობით, განსაკუთრებული დაძაბვით მუშაობდა ფრონტისათვის. ეს იყო ომიანობის დროის პირველი პირველმაისობა. მას ჩვენი ხალხი შეხვდა ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილი, რომელმაც გადაიტანა დიდი განსაცდელი, განიცადა წითელი არმიის უკანდახევის მძიმე დღეები, განიცადა მოსკოვთან გამარჯვების სიხარული.

ახლა, ომიანობის დროის მესამე პირველმაისობის დღეს, მთელი მსოფლიო აღტაცებული გაოცებით უცქერის საბჭოთა კავშირს, მის წითელ არმიას. ახლა ბრძოლები სწარმოებს საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრების მახლობლად. ასობით კილომეტრ სიგრძეზე საზღვარი უკვე აღდგენილია ჩვენი ჯარების მიერ. საზღვრების ზოგიერთი უბანი უკვე შემტევი წითელი არმიის უკან იმყოფება.

გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი მარტო სამხედრო მარცხს როდი განიცდიან, არამედ მორალურ-პოლიტიკურ მარცხსაც. ირღვევა ჰიტლერული ბლოკი. დაინგრა ფაშისტური იტალია. ბუნქებისკენ იცქირებიან ჰიტლერის თანამონაწილენი ძარცვაში.

მტკიცდება თავისუფლებისმოყვარე, დემოკრატიულ სახელმწიფოთა კოალიცია. მათ შორის არის საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებას. წითელი არმიის დროშებზე წარწერილია მოწოდებანი მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისაკენ, ხალხთა მეგობრობისაკენ. საბჭოთა მეომრები სდევნიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს მშობლიური საბჭოთა მიწაწყლიდან. წითელი არმიის გამარჯვებანი ემსახურებიან თავისუფლებისმოყვარე ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ნამდვილი დემოკრატიის საქმეს.

ბრძოლასა და შრომაში სწარმოებს ამ გამარჯვებათა გამოჭედვა.

დ. ზასლავსკი

# მაისის მობრძანება ოქტომბერში

ღამე იყო, როცა ქალაქ ცხაკაიას აფთიაქში ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა კაცი. მან ორად გაკეცილი მომცრო ქაღალდი გაუწოდა მეაფთიაქეს—ბავშვი კვდება!—შესაძლოა ამ წამალმა გადაარჩინოსო..

მას სახეზე სიელვარე და სიწითლე არ გაჰკრთომია და არც სუნთქვა შენელებია იმ ათიოდე წუთის განმავლობაში, რაც წამლის შესამზადებლად შეიქნა საჭირო. წამლის მიღებისთანავე, ღამის ბინდბუნდში იგი მურდულივით გაეცალა ქალაქს.

ეს იყო სოფელ ოქტომბრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი საჯაია. მას საკუთარი შვილისათვის როდი მიჰქონდა წამალი. იგი მიიჩქაროდა კოლმეურნე სარდიონ ბოხუას სახლისაკენ. იქ, ბოხუას სახლში სიკვდილს ებრძოდა ოჯახის უფროსი ქალიშვილი, კოლმეურნეობაში მოწინავე და ფრიადოსანი მოსწავლე მადლენა.

აკაკი საჯაიამ დროზე მიიტანა წამალი, ოჯახის იმედი გადარჩა სიკვდილს.

შემდეგ გავიგე—ეს შემთხვევა არ ყოფილა გამონაკლისი და ერთადერთი.

მოვალეობა როდია ეს! სიყვარულია ურთიერთისა, შემხარმკლავება განსაცდელის დროს, გულითადობა—სწორედ ეს არის ოქტომბრელებს გამარჯვებაში რომ ეხმარება.

* * *

სოფელ ოქტომბრის ოთხმოცდაცხრამეტი ჭაბუკი სამამულო ომის პირველ დღესვე ჩადგა ჩვენი საყვარელი არმიის რიგებში. ოთხმოცდაცხრამეტივე ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი იყო.

მათი გულღონე და მადლიანი მარჯვენის ძალა მოაკლდა მშობლიურ კუთხეს, ოჯახს, ეზო-კარს... ისინი ფრონტზე წავიდნენ—რისხვად მტრისათვის და იმედად შინ დარჩენილთა!

მტკიცედ სჯეროდათ—მამაცურის ბრძოლით ბალტიისპირეთსა და უკრაინაში, სტალინგრადთან და კავკასიონის კარებთან—იცავდნენ მშობლიურ კუთხეს, დებსა და დედებს, კრამიტით გადახურულ ოდა-სახლებს აქ, სოფელ ოქტომბერში თვალწარმტაცად რომ წამოჭიმულან!

ოთხმოცდაცხრამეტი წავიდა ფრონტზე! განა დაუქმდა სახნის-საკვეთი? გუთნისდედური მისწყდა სოფელში? გადაუხნავი დარჩა ყამირი, ან დაუჟანგდა პირი თოხს და ბარს?

ახალგაზრდული გული ჩაიდგეს ბერიკაცებმა.

შვილების ბრძოლას საძულველი მტრის წინააღმდეგ, მათ გაუტოლეს გმირული შრომა!

დებმა, ცოლებმა—თვალმარგალიტი შვილის დედებმა—შეახმიანეს სოფელი ისევ, დროზე მოხნეს და დროზე დათესეს, გაამრავლეს საგულდაგულოდ და მოსავალი დახვავდა, ეყო—ფრონტზე მებრძოლებს, შინ დარჩენილებს...

ხნოვანებით საუკუნეს გაუტოლდა ჯაგუ კილასონია. მან სამი ვაჟიშვილი გაგზავნა ფრონტზე დედა-სამშობლოს დასაცავად—და მის ოჯახს ოდნავადაც არ აკლია მამაკაცის ხელი. მისი შრომის წიგნაკში ასსამოცდაერთმეტი შრომადღე სწერია. ამდენივე მტერი უნდა განგმირონო ჩემმა შვილებმა, გამარჯვებულებს მოველით შინ! ოჯახი? ოჯახისათვის ნუ დამიღონდებიან ჩემი ჭაბუკები! მას გასწვდება ჩემი ჯანი და გულის ძალა! განა მარტო ვარ? მთელი კოლმეურნეობა ოჯახია ერთი—დიდი და განუყოფელი!

ჰყავს ჯაგუ კილასონიას ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში თანაცალები: ივანე სირია და კირილე შაფათავა. სტახანოველი კოლმეურნეა სამოცდახუთმეტი წლის კირილე შაფათავა. მან სამასჩვიდმეტი შრომადღე გამოიმუშავა შარშან. ივანე სირიას ორი ვაჟიშვილი ერკინება მტერს, ივანეს კი არც მარტოხელობა და არც ზურგზე აკიდებული ოთხმოცდახუთი წელიწადი უშლის ხელს იყოს მოწინავე კოლმეურნე, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი და ყოველწლიურად ორასორმოცდაათი შრომადღე ჩაიწეროს წიგნაკში.

კოლმეურნეობაში მრავალია მოწინავე და წარჩინებული; სამივე ბრიგადა ეჯიბრება ერთმანეთს საერთო საქმის წინ წასაწევად, სამივე საგულისხმო შედეგებს აღწევს. ამათ მოათავეს რაიონში ყველაზე ადრე ხვნა, ასევე წარმატებით ამთავრებენ თესვას. ამათ მოხნეს და დასთესეს ფრონტელთა საკარმიდამო ნაკვეთები, კოხტად შემოღობეს და შემომესარეს მათი ეზოები.

ბრიგადირები — სამამულო ომის მონაწილენი ნ. ბოხუა, ალ. კილასონია და მ. ქურდღოვანიძე აღფრთოვანებული არიან თავიანთი მერგოლეურებითა და რიგითი კოლმეურნეებით — მათ შორის არის უფრო მოწინავე და უფრო წარჩინებული: აკაკი ხაფავა, სამამულო ომის მონაწილე იოსებ დავითაია, ილ. მაისაია. სტახანოველი კოლმეურნე ვარლამ კილასონია ყოველდღიურ დავალებას მუდამ 250-300 პროცენტით ასრულებს.

სამი ახალთახალი ოდა-სახლი დგას სოფელ ოქტომბერში. კოლმეურნეობამ აგო სამივე. ამ სამი ოჯახის უფროსები ფრონტზე არიან, მაგრამ უიმათობა არ აგრძნობინა კოლმეურნეობამ მათ ცოლშვილს. კოლმეურნეობა ამარაგებს ფრონტელის მრავალ ოჯახს სურსათ-სანოვაგით, წიგნებსა და რვეულებს ყიდულობს მეომართა შვილებისათვის, ზრუნავს მათი წარმატებისათვის სკოლაში. ბავშვები ყველაზე უფრო გრძნობენ ამ გულთბილ, მშობლიურ მზრუნველობასა და სიყვარულს.

* * *

ჩონგურს უკრავდნენ, წკრიალებდნენ სიმები და ქალები მღეროდნენ სალხინოსა და გასახარელს. ბაღჩები ჰქონდათ სამაგალითო, ქსოვდნენ დარაიას, წინდებს ფერად-ფერადებს და თითო ბავშვს ძილისპირულს უგალობდნენ საღამოჟამზე.

ახლა? ფრონტზე არიან მათი ძმები, ქმრები, მამები! ესენი გახდნენ მხნელი, მწყემსი, მებაღე... შინ და გარეთაც გოლიათურ შრომას ეწევა მოუსვენარი მათი მარჯვენა. და თუ ძაბა გოგინავას, ალექსანდრა სირიას, ლუბა კილასონიას ქმრები და ანა სირიას ორი ძმა —მტრისთვის მეხისტეხად არიან ომში,—ესენი შრომით ეხმარებიან ფრონტს და ქვეყანას, მუშაობენ მერგოლეურებად, ორმაგად და სამმაგად ასრულებენ დღიურ ნორმებს. აკაკი საჯაიამ მითხრა: ქალთა ასეთი შრომით შევძლით სათესი ფართობის 25 ჰექტარით გადიდება, უმთავრესი კი ის არის, რომ ჰექტარიდან ორჯერ მეტი მოსავალი უნდა მივიღოთ, ვიდრე შარშან.

მრავალი საჩუქარი გაუგზავნეს ოქტომბრელმა კოლმეურნეებმა ფრონტელებს. ამ საჩუქრებში ბევრი იყო ჩვენი კოლმეურნეობის ქალთა ნახელავი-ნაქსოვი, თუ ნაქარგი, ხმელი ხილი, ღვინო და არაყი, გამხმარი სულუგუნები, გულთბილი წერილები და ფოტოსურათები. შეღამდება და ახლაც უკრავენ ჩონგურს ოქტომბრელი ქალები და გოგონები, მღერიან გმირულსა და ვაჟკაცურს, დიდებას უმღერიან საყვარელ მამასა და მხედართმთავარს, მშობლიურ სტალინს, ფრონტზე წასულთ უსურვებენ მალე გამარჯვებას, სახელმოხვეჭილად დაბრუნებას შინ...

* * *

ღამეა ახლა. ჯერ არ იძინებს სოფელი ოქტომბერი. თითქმის ყოველ ოჯახში მერამდენედ კითხულობენ ბრძოლის ველიდან გამოგზავნილ ბარათებს, ლოცავენ მათ მომტანს, ამცყობენ თანასოფლელებით, ახალ-ახალ წერილებს სწერენ მათზვის.

აპრილი წავიდა. მობრძანდება დიდი მაისი, ეზოები უკვე მოამწვანეს სამყურა სიმინდებმა, ტყემ დაასრულა ფოთოლფენობა და ფერად-ფერადი ყვავილები ამკობენ ველებს.

ღამეა ახლა. მსუბუქი ზღვაური ამრიალებს ტყხურის ლელიანს და ტანწერწეტა ალვისხეებს; მღელვარის ძილით სძინავს სოფელს... ირიჟრაჟებს, მზის სხივთან ერთად წამოიშლებიან კოლმეურნენი, გაჩაღდება დიადი შრომა, რომ ლენინის სახელობის კოლმეურნეობა კიდევ უფრო ძლიერი, კიდევ უფრო სასახელო დაახვედრონ ბრძოლის ველიდან გამარჯვებულად შინდაბრუნებულთ.

ალიო ადამია

## არქიტექტორები განთავისუფლებულ ქალაქებში

არქიტექტურის საქმეთა საკავშირო კომიტეტში შესდგა გერმანელ ბარბაროსთა მიერ დანგრეული ქალაქების აღდგენის საქმისადმი მიძღვნილი თათბირი. მოხსენებებით გამოვიდნენ არქიტექტორები, რომლებიც მივლინებული იყვნენ განთავისუფლებულ ქალაქებში აღდგენის პროექტების შესადგენად. აკადემიკოსმა ლ. რუდნევმა თათბირს გააცნო ვორონეჟის, აკადემიკოსებმა ვ. სემიონოვმა— დონის როსტოვის, გ. გოლცმა — სმოლენსკის, ბ. იოფანმა—ნოვოროსიისკის, ნ. კოლიმ—კალინინის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. გელფრეიხმა—რჟევის და არქიტექტორმა ვ. გაიკოვიჩმა—ორიოლის აღდგენის გეგმა. აღნიშნულ ქალაქებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.

# დეპეშები

## ბერლინზე ამერიკის ავიაციის თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

**ლონდონი**, 30 აპრილი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 29 აპრილს დილით ბერლინზე მომხდარ თავდასხმაში მონაწილეობდა ამერიკის 1.000 მძიმე ბომბდამშენი, რომელთაც ამდენივე ავიაგამანადგურებელი ახლდა. გააფთრებულ საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 88 ავიაგამანადგურებელი. მოკავშირეთა ავიაციამ 77 თვითმფრინავი დაჰკარგა. ბერლინს დააყარეს 2.000 ტონაზე მეტი ბომბი.

გასული კვირის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაციამ გერმანიაში და მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სულ 27 ათასი ტონა ბომბი ჩამოჰყარა.

**ლონდონი**, 30 აპრილი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამერიკის მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთი თავს დაესხა გერმანიის აეროდრომებს ლიოჟსა და კლერმონში, აგრეთვე სამხედრო ობიექტებს პა-დე-კალეს რაიონში.

## კანონპროექტი მინისტრთა კაბინეტისათვის თურქეთის გენერალური შტაბის დაქვემდებარების შესახებ

**ანკარა**, 26 აპრილი (საქდესი). ნაციონალური თავდაცვის საპარლამენტო კომისიამ მოიწონა პროექტი კანონისა პრემიერ-მინისტრის გამგებლობაში გენერალური შტაბის გადაყვანის შესახებ. უახლოეს დღეებში ეს პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა მეჯლისს. ახალი კანონის პროექტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გენერალური შტაბის უფროსი მინისტრთა კაბინეტის კონტროლქვეშ იქნება.

## საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის დეკრეტი საფრანგეთის ტერიტორიაზე სამოქალაქო ხელისუფლების მოწყობის შესახებ

**ალჟირი**, 26 აპრილი (საქდესი). საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკრეტი საფრანგეთის ტერიტორიაზე მისი განთავისუფლების შემდეგ სამოქალაქო ხელისუფლების მოწყობის შესახებ.

„ფრანგი ხალხი,—ნათქვამია დეკრეტში,— სუვერენულად გადასწყვეტს თავისი მომავალი დაწესებულებების საკითხს. ამისათვის მოწვეულ იქნება ეროვნული დამფუძნებელი ასამბლეა, როგორც კი გარემოებანი საშუალებას მოგვცემენ შევუდგეთ ნორმალურ არჩევნებს, არა უგვიანეს ერთი წლისა ტერიტორიის სრული განთავისუფლების შემდეგ. ასამბლეის არჩევნები მოხდება პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, ყველგან, სრულწლოვანი ფრანგი კაცებისა და ქალების მიერ, იმათი გამოკლებით, ვისაც არსებული კანონებით აყრილი აქვთ უფლებანი".

გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, ეროვნული დამფუძნებელი ასამბლეის წინა ხანაში, განხორციელებულ იქნება რესპუბლიკურ დაწესებულებათა თანდათანობით აღდგენა. დეკრეტში ჩამოთვლილია ის ღონისძიებანი, რომლებიც გატარებული იქნება ამ ამოცანის განსახორციელებლად.



განთავისუფლებულ ოდესაში. სურათზე: ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. ჰიტლერელებმა უკან დახევის წინ იგი დანაღმეს, მაგრამ აფეთქება ვერ მოასწრეს.
(საქდესის ფოტოქრონიკა)

## საომარი მოქმედება იტალიაში

**ლონდონი**, 29 აპრილი (საქდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ფრონტის ყველა სექტორში სიწყნარეა; მოქმედებდნენ პატრულები.

**ლონდონი**, 30 აპრილი (საქდესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ ფრონტზე პატრულთა მოქმედება გრძელდებოდა. ავიაცია კვლავ ესხმოდა თავს მტრის სამხედრო ობიექტებს იუგოსლავიასა და იტალიაში.

## უცხოეთის ქრონიკა

ამ დღეებში მოკვლის განზრახვით თავს დაესხნენ მუსოლინის. როდესაც იგი თავის ვილას უახლოვდებოდა ვერონის ახლოს, რათა იქ ფაშისტ მეთაურებს შეხვედროდა, გზაში ისროლეს ბომბი, რომელიც 10 მეტრზე გასკდა ავტომობილის უკან.

* * *

უკანასკნელი ოფიციალური ცნობების თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა ომის დაწყებიდან დაჰკარგეს 189.809 კაცი, მათ შორის 43.808 მოკლულთა, 70.348 დაჭრილთა, 41.330 უგზო-უკვალოდ დაკარგულთა და 33.223 ტყვეთა სახით.

* * *

ამ დღეებში ბერგენის ნავსადგურში (ნორვეგია) უდიდესი აფეთქება მოხდა. ამასთან დაკავშირებით ჰიტლერელები კვლავ აწიოკებენ ბერგენის მოსახლეობას. პოლიციის საგანგებო სასამართლომ ბერგენში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ორ ნორვეგიელს.

25 აპრილი. (საქდესი).

## კულტურისა და დასვენების პარკის გახსნა

დღეს, 1 მაისს, გაიხსნება ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი. ესტრადაზე შესდგება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი გ. კოკელაძის ხელმძღვანელობით. პარკში დაუკრავს სასულე ორკესტრი. საცეკვაო მოედანზე ჯაზორკესტრის თანხლებით ყოველდღე მოეწყობა მასობრივი ცეკვები. პარკი მორთულია სამამულო ომის გმირთა და სარდალთა პორტრეტებით.

ბავშვებისათვის გამოყოფილია კუთხე გასართობებით. მუშაობს საბავშვო რკინიგზა, კარუსელი და სხვ.

## მხატვრული სიტყვის ოსტატის საღამო

ხუთშაბათს, 4 მაისს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი წითელარმიელთა ოჯახების სასარგებლოდ აწყობს მხატვრული სიტყვის საკავშირო კონკურსის ლაურეატის ანტონ შვარცის საღამოს.

საღამო შესდგება მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქუჩა № 1). დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ბილეთები იყიდება მუზეუმის სალაროში (რუსთაველის პროსპექტი № 1).

## სპორტის ოსტატთა გამოსვლები ჰოსპიტლებში

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა თბილისის კომიტეტი, „დინამო", „სპარტაკი", ფიზკულტურის ინსტიტუტი და სხვა სასპორტო ორგანიზაციები 1 მაისს საჰოსპიტლებში მოაწყობენ სპორტულ გამოსვლებს.

მოეწყობა საჩვენებელი გამოსვლები ტანვარჯიშში, კრივში, ჭიდაობაში, ჭადრაკში და სხვ., რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ უძლიერესი სპორტსმენები—სპორტის დამსახურებული ოსტატი, ორდენოსანი ა. ჯორჯაძე, სსრ კავშირის ჩემპიონი ვართანოვი, სპორტის ოსტატები—თაყაიშვილი, ზაალიშვილი, ლუდუშაური, გორგასლიძე, ფალავანდიშვილი, კოგანი და სხვ.

## ველო-შეჯიბრება

1 მაისს ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ველო-სტადიონზე (პლეხანოვის პროსპექტი, 116) მოეწყობა ველო-შეჯიბრება მრავალფეროვანი პროგრამით. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ოსტატები გრაჩევი (მოსკოვი), გლადკი (მოსკოვი), საქართველოს ჩემპიონი, სპორტის ოსტატი სტეფანოვი, საქართველოს ჩემპიონები და რეკორდსმენები: საძაძე, საფრონოვი, კაზანჯიანი, ბაბაჯანოვი და სხვ.

დასაწყისი დღის 2 საათზე.

## შეჯიბრება ცხენოსნობაში

გეგეჭკორის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი 1 მაისს სოფელ გეგეჭკორის სასპორტო მოედანზე აწყობს შეჯიბრებას ცხენოსნური სპორტის ხალხურ-ნაციონალურ სახეებში, როგორიცაა ჯირითი, ჩხვა, თარჩია, მოქნევა, მარულა 2 კილომეტრზე, მარულა 10 კილომეტრზე და სხვ.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ლეხაინდრავის, ნაჯახავის, ტალერის, სალხინოს, გეგეჭკორის, სერგიეთის, საგვაზავის, თამაკონისა და სხვა სოფლების ფიზკულტურული კოლექტივების ცხენოსანთა გუნდები.

## კინო

— ლენინგრადის კინოსტუდიამ დაამთავრა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „გერმანიის ჯარების განადგურება ლენინგრადთან". ფილმი დადგეს რეჟისორებმა კ. სოლოვცევმა, პ. პალეიმ და ნ. კომარევცევმა. ტექსტი დიქტორისათვის დაწერა ნ. ტიხონოვმა.

— „ბაღდადელ ქურდს", ფერად კინოფილმს, რომელიც დადგა ინგლისელმა რეჟისორმა ა. კორდამ, ამჟამად უჩვენებენ თბილისის კინოთეატრებში „რუსთაველში" და „ოქტომბერში". ფილმი დიდი წარმატებით სარგებლობს.

— „ქალი იცავს სამშობლოს"—საბჭოთა ფილმი სპარსულ ენაზე დიდი წარმატებით მიდის თეირანის ყველაზე დიდ კინოთეატრ „თეირანში".

— მოძრავი კინოსაპროექციო აპარატი გამოიგონეს კინო-ფოტოს სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის თანამშრომლებმა პროფ. ე. გოლდოვსკიმ, ინჟ. გ. ბერნშტეინმა და ინჟ. ო. ციტრინმა. ახალი კინო-საპროექციო აპარატი ორჯერ უფრო მსუბუქია, ვიდრე დიზელმოტორიანი ასეთივე აპარატი. ახალ აპარატს არ სჭირდება ელექტროენერგია. იგი განკუთვნილია ისეთი სოფლებისათვის, სადაც ელექტრონი არ არის. წელს კინომრეწველობა გამოუშვებს 500 ასეთ აპარატს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

1, 2 და 3 მაისს
სეზონის გახსნა
დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი სტენდები და გამოფენები.
კინოთეატრში ახალი ფილმი. ესტრადაზე დიდი კონცერტი.
საცეკვაო მოედანზე ცეკვები პარკის ატრაქციონებთან ერთად, ჯაზი.
საბავშვო რკინიგზა, კარუსელი, თამაში და გართობა.
2 მაისს ქართული ჯაზის კონცერტი დამსახურებული არტისტის ვლადიმერ კანდელაკის ხელმძღვანელობით.
დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

დედა ლუბა ჰანტურია — მარინაშვილისა, მამა იოსები იუწყებიან პატარა გულიკოს გარდაცვალებას. პანაშვიდი 1/V 7 ს. დაკრძალვა 2/V 2 ს. გამოსვენება ოჩევაძის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3-62-26, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის—3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00146